ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების ერთო-თიანეთის ჯგუფის არაპერიოდული ბეჭვდითი ორგანო

# სამრეკლო

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა!“

№2 1989 წლი 28 დეკემბერი

გაზეთი გამოდის 1989 წ. 19 სექტემბრიდან

მერაბ კოსტავას

ბატონო მერაბ, წმინდაო რაინდო
გზა ხსნისა აწი ზეციდან უნდა გაგვინდო
შემოგვალიე სიცოცხლე, გადაგვარჩინე სიკვდილს
მტერს კი გონია, რომ ზეიმს იმკის!

რა გაუგიათ სატანის ძეთა, ხარი დაუკლავთ
უძღეოდიათ! რა უცამიათ, რა შეუსვიათ!
ცოდვის ჩირქით შუბლი გაუსვრიათ
დანარჩენს ჯოჯოხეთში უკლებლივ მიუჩვლიან
თქვენ კი გარდმოხვალთ ხატად,
და თუმც დაგვიშლიდით თავად
ამიერიდან თქვენს წინაშე გადისახავს
პირჯვარს, ჭირსი ქართველი მუხად,
რომ ვაჟკაცობა შეძლოს
მერაბ კოსტავას დარად!

ი. ჩახნაშვილი

"ეროვნული თავისუფლების" ჯგუფი იზიარებს საყოველთაო ეროვნულ გლოვას და მწუხარებას, რაც გამოიწვია მერაბ კოსტავას გარდაცვალებამ.

"ეროვნული თავისუფლების" ჯგუფის მიმართვა საქართველოს ყველა დამოუკიდებელი ჟურნალისტისადმი.

მეგობრებო, კოლეგებო!

სამშობლოში არსებული მძიმე ვითარება მოითხოვს ჩვენს გაერთიანებას ერთიან ასოციაციაში – საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირში. მხოლოდ ასეთ კავშირს ძალუძს ჟურნალისტიკისა და გამომცემლური საქმის მაღალ მორალურ და ტექნიკურ დონეზე წარმართვა.

საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი სადღეისოდ და სამომავლოდაც – ეროვნული მოძრაობაა. ეროვნული მოძრაობა საჭიროებს ტექნიკურად კარგად აღჭურვილ, დამოუკიდებელ, ობიექტურ, ძლიერ და მაღალზნეობრივ პრესას, რომელიც მას საკადრის სამსახურს გაუწევს, როგორც სამშობლოს შიგნით, ისე მის გარეთაც.

დამოუკიდებელი ჟურნალისტები თვითონ წარმოადგენენ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე გათვითცნობიერებულ, თავის თავში გარკვეულ და ინფორმირებულ ნაწილს და მათი ასოციაცია უდაოდ გახდება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ძალა, რომელიც გააფართოებს და გააძლიერებს ეროვნულ მოძრაობას.

მეგობრებო, გთხოვთ იანვრის ბოლომდე გამოაქვეყნოთ თქვენს ბეჭდვით ორგანოებში / და/ან გამოგვიგზავნოთ მისამართით: 380060, თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზირი №6, ბინა 50, დ.ამირეჯიბს / თქვენი თვალსაზრისი და კონკრეტული წინადადებები, დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირის ორგანიზაციის თაობაზე, კავშირის წესდებისა და პროგრამის მხოლოდ ძირითადი, პრინციპული დებულებების და აგრეთვე ჩვენი მომავალი შეხვედრის დროისა და ადგილის თაობაზე:

ჩვენ შევეცდებით თავი მოუყაროთ თქვენს წინადადებებს და გამოვაქვეყნოთ ისინი თებერვლის პირველ რიცხვებში, ჩვენს გაზეთში „სამრეკლო“-ში და/ან გამოგიგზავნოთ მისამართით, რომელსაც თქვენ მოგვაწვდით.

მეგობრებო, გთხოვთ ნუ შევეცდებით კავშირის შექმნას დროზე ადრე, ვინაიდან დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირის შექმნა უნდა მოხდეს საერთო ინიციატივით. გაზეთებისა და ჟურნალების უმრავლესობამ უნდა მოასწროს თავისი თვალსაზრისისა და წინადადებების გამოთქმა. კავშირი უნდა შეიქმნას დემოკრატიული გზით, ასევე დემოკრატიულად უნდა ავირჩიოთ ჩვენი გამგეობა და თავმჯდომარე.

დავით ამირეჯიბი.
მევლუდ ბასილაური.
კახა კენკიშვილი.
სპარტაკ ჭოლიკაური.
დედაქალაქი, 25/12 1989წ.

გილოცავთ ქრისტეს შობის დღეს!
ის ყოფილიყოს ჩვენი მფარველი.

გაზეთის დღევანდელ ნომერში

ი. ჩახნაშვილის ლექსი მერაბ კოსტავას. . . . . . . . . .
სამახსოვრო მიღოცვა . . . . . . . . . . . . . . . .
ეროვნული თავისუფლების ჯგუფის მიმართვა საქართველოს ყველა დამოუკიდებელი ჟურნალისტისადმი . . . . . . . .
თავისუფლების ჯგუფის თვალსაზრისი თავისუფლებაზე
კ. ნაკაშიძის განცხადება სსრ-ის თავმჯდომარის ნ. წაწაძის სახელზე.
აკტორი განცხადებაში გვიყვება როგორ ამუშავებს სასჯელი სამსახურის მოხელისას ერთის გადამამუშავებელ ქარხანაში რის შედეგადაც ის ინვალიდი გახდა.
დ. ამირეჯიბის შეხვედრა საკუთარ გორებასთან კორესპონდენტთან და ნარუსთან. . . . . . . . . .
კ. კენკიშვილის ღია წერილი ინტელიგენციას . . . . . .
მწვავე წლეებმა და ყველასტიუმორისტული სატირა
იოსებ აფციაური – „ყივილი მომავლიდან“ /მერაბ კოსტავას/
ნ. ჭოლიკაურის დემოკრატია და საქართველოს სამეფოთა კავშირში . . . ჩამცილი მიტინგი.
ს. პატურაშვილის ლენინი ჩვენთან არის.
გოგი ჩოქურის ლექსი: მიჩვარ ყორნებო რა გინდათ . . . .
მოკლე ცნობები . . . . . . . . . . . .
ნამდვილი თვითდაწერი პრესის მასალებიდან

საგაზეთო სტატიების ბეჭდვისას დაშვებულია კორექტორული შეცდომები. ამ შეცდომების სრულად შესწორების საშუალება რედაქციას არ აქვს, რისთვისაც მკითხველს უხდის ბოდიშს

გაზეთ "სამრეკლოს" რედაქცია

"თავისუფლების" ჯგუფის თვალსაზრისი თავისუფლებაზე.

განთავისუფლება გულისხმობს წინარე მდგომარეობის მხოლოდ უარყოფას, ნეგაციას. თუ ეს ამოცანა მიღწეულია, განთავისუფლების პროცესი ბუნებრივად სრულდება, წყდება. თავისუფლება-კი პოზიტიური და პერმანენტული პროცესია, მას არა აქვს ბუნებრივი დასასრული, ბუნებრივი ზღვარი, ამიტომ ის მუდმივ ძალისხმევას გულისხმობს. როგორც კი ეს ძალისხმევა წყდება, თავისუფლება იკარგება. ამიტომ, პიროვნებისა და ერის თავისუფლებისათვის ძალისხმევა აუცილებელია არა მხოლოდ განთავისუფლებამდე, არამედ მას შემდეგაც, ანუ მუდმივად.

ერის განთავისუფლება შეუძლებელია, თუ ის უკვე არ ფლობს თავისუფლებას. ნამდვილი განთავისუფლება, უარყოფა წინარე მდგომარეობისა, მხოლოდ თავისუფალ პიროვნებასადმ ერს ძალუძს და არ ძალუძს მონას.

ერი ფლობს თავისუფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალია მასში შემავალი პიროვნებები. ამიტომ, მაგალითად შოვინისტური, იმპერიალისტური რუსეთი, ან ნაცისტური გერმანია არასოდეს არ ყოფილან თავისუფალი ერები. ერი, რომელშიაც უარიყოფა პიროვნების თავისუფლება შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, მაგრამ არა თავისუფალი. ის საკუთარი თავის უფალი კი არ არის, არამედ საკუთარივე კერპების მონაა.

ერის თავისუფლებას ახორციელებს თავისუფალ პიროვნებათა ეროვნული მოძრაობა. ეროვნული მოძრაობის მიზანია არა მხოლოდ პოლიტიკური დივიდენტების მოპოვება, არა არსებული შესაძლებლობებიდან ოპტიმალურის მონახვა, ვარიანტების გაუთავებელი გათვლა-გამოთვლის გზით, არამედ პირველ ყოვლისა – თვით მოძრაობა. სარბიელის განთავისუფლება ადამიანისათვის, როგორც შესაძლებლობისათვის, ერისათვის, როგორც შესაძლებლობისათვის.

პოლიტიკა ხელოვნებაა მოიპოვო შედეგი „მსხვერპლის“ გაღების გარეშე / ვგულისხმობთ საკუთარ „მსხვერპლს“ და არა სხვის შეწირვას მსხვერპლად / ისე, რომ არაფერი არ გასცე, ამიტომ ის არსებული ვითარების სტაბილიზაციის, შენარჩუნების მექანიზმია მხოლოდ. ნამდვილ, დიდ ცვლილებებს, არსებით განვითარებას, როგორც სოციალურ, ეკონომიურ, ისე თვით პოლიტიკურ სფეროებში, ჩვენ მხოლოდ ეროვნული მოძრაობისაგან შეიძლება მოველოდეთ, რადგანაც ეროვნული მოძრაობა, თავისი არსებით ეყრდნობა უმაღლეს ზნეობრივ პრინციპებს და მოქმედებს მხოლოდ მათ შესაბამისად. ეროვნული მოძრაობა აერთიანებს ადამიანებს არა საერთო პოლიტიკური პლატფორმის, არამედ კატეგორიული იმპერატივის მიხედვით. ეროვნული პოლიტიკის ფუნქციაა შეინარჩუნოს და მთელი ერის კუთვნილებად აქციოს ის, რასაც მოიპოვებს თავისუფალ პიროვნებათა ზნეობრივი მოძრაობა, მათი თავისუფალი ნება, მათი მსხვერპლი.

დავით ამირეჯიბი.

გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნებული იყო მევლუდ ბასილაურის სტატია "წვევამდელების", სადაც ავტორი გვიყვებოდა თუ როგორ მოიხადა სამხედრო სამსახური გასაიდუმლოებულ დახურულ ქალაქში, სადაც იგი მუშაობდა ურანის გადამამუშავებელ ქარხანაში, ჯანმრთელობისათვის სახიფათო პირობებში.

ქვემოთ მოტანილი განცხადების ავტორი მსახურობდა იმ ქალაქში და მუშაობდა იმავე ქარხანაში, სადაც მევლუდ ბასილაური. თუ რა შედეგები მოჰყვა მისი ჯანმრთელობისათვის ამ მუშაობას გავიგებთ თვითონ განცხადებიდან.

ჩვენთვის ცნობილია, რომ მსგავს მდგომარეობაში საქართველოდან სხვა პირებიც იყვნენ. იმ პირთაგან დაინტერესებულებს ვთხოვთ დაუკავშირდნენ ეროვნული თავისუფლების ჯგუფს და გაზეთ "სამრეკლოს" რედაქციას.

საქ. სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს
ბატ. ნოდარ ნათაძეს

მცხოვრები ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი
გამსახურდიას ქ.№18, ბინა №75
კუკური ნასყიდის ძე ნაკაშიძის

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პატ.საზოგადოებავ, ამჟამად ვიმყოფები II-ე ჯგუფის ინვალიდი, შრომის უუნარო. დაავადებული მაქვს მარცხენა ფეხის მუხლი. გაკეთებული მაქვს ოთხი ოპერაცია – დიაგნოზით: "ქრონიკული ოსტეომელიტი". მარცხენა ფეხის მუხლი მაქვს გაუქმებული. ყოველგვარი ამის მიზეზი არის ჩემი დანაშაული. დანაშაული, რომელსაც არ მეკითხებიან რატომ დავაშავე. გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც მომასწავლა მომემართა თქვენთვის. მომართვა, რომელიც არ არის პირველი და ჩემს საშველზე ხელიც მქონდა ჩაქნეული, მაგრამ აზრები აღმიდგინა თქვენი სამართლის ძიებამ, რისიც მე ძალიან დიდი მომხრე ვარ. რაც შეეხება ჩემს გარშემო მომხდარ უსამართლობას, ვაძლევ ჩემს თავს უფლებას ყველაფერი მოგახსენოთ თავიდან ბოლომდე.

1980 წელს ვიყავი გაწვეული სამხედრო სამსახურში "ურალში". სვერდლოვსკის მხარე, ქ.ჩელიაბინსკ 63-ში. ქალაქი წარმოადგენდა სამხედრო საიდუმლოებას, იყო ქიმიური ქარხნები. მათ შორის ერთ-ერთი ქარხანა იყო აფეთქებული, რის აღდგენაშიც ვიღებდი მონაწილეობას. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ იცოდეთ თუ რა რაოდენობის რადიაცია იყო სამსახურეობრივ ტერიტორიაზე. ფაქტიურად მე არ ვიცი თუ რა მზადდებოდა ამ ქარხნებში. ჩვენ გვქონდა განსაკუთრებული ფორმა, "ჩასაცმელი", რაც ითვლება რადიაციის საწინააღმდეგოდ. მაგრამ როგორც აღმოჩნდა, იმ ტერიტორიაზე სადაც ვმუშაობდით 500 ქართველი მოსალოდნელი ყოფილა დაღუპვა, რისიც მე ძალიან დიდი წინააღმდეგი ვახლდით. მიზეზად, რომ თავს ვგრძნობდი ცუდად, მივმართე ჩემს უფროსებს საყვედურით, რომ ვიყავი ცუდად. მე 19 წლის ქართველ ვაჟკაცს და ყოვლად ჯანმრთელს არ უნდა მქონოდა თავბრუს ხვევები, თავის ტკივილები და სიცხე თამაშით 37-დან 5 ხაზამდე. ყოველივე ამ საყვედურის შემდეგ ნაწილში გადაწყვიტეს რომ გავესინჯე ფსიქიატრიულში, საიდანაც გამომიშვეს, დიაგნოზით, რომ მე ვიყავი სრულიად ჯანმრთელი ფსიქოლოგიურად და მომახვედრეს ნაწილის სამედიცინო დაწესებულებაში. ესმხოლოდ ღამით და დილით კვლავ სამსახურში. საღამოს სამსახურიდან დაბრუნებისას საერთო შემოწმების დროს სრულიად მოულოდნელად ვხდები ცუდად, ვეცემი ძირს და კვლავ აღმოვჩნდი ნაწილის სამედიცინო დაწესებულებაში. ბოლოს და ბოლოს არავითარი ანალიზი, არავითარი დაინტერესება მათთვის რით გავხდი ცუდად. აქაც იგივე განმეორდა, დილით კვლავ სამსახურში. სისუსტემ საგრძნობლად მიმატა და მამკობდნენ სიტყვებით, რომ ჩვენ, ქართველები უმუშევრობის გულისათვის ყველაფერს გავაკეთებდით (სიმულიანტი) რაც უკვე ნერვებზეც მოქმედებდა და მოყვებოდა ძალიან დიდი უსიამოვნება. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ლეიტენანტ მეშკოვისგან ხელიც მომხვდა. მე ის უპასუხოდ რა თქმა უნდა არ დამიტოვია, რაზეც ძალიან დიდი პასუხის მოთხოვნას ველოდი, მაგრამ სამხედრო სამსახური წავიდა ჩვეულებისამებრ. მე ისევ ცუდად ვიყავი და ვითხოვდი როგორმე მოვეცილებინე იმ ტერიტორიას და გადავეყვანე სხვა ნაწილში სამსახურის გასაგრძელებლად, რაზეც მივიღე დამაკმაყოფილებელი პასუხი, "ჩელიაბინსკ 63-ში" ვიმსახურე 9 თვე. 1981 წლის თებერვალს გადაგზავნილი ვიყავი ციმბირში ქ.ანგარსკში, სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად, პროფ. "დამმონტაჟებელი", რაც გამიფორმეს ჩელიაბინსკ 63-ში გადმოგზავნის წინ, რაც ფაქტიურად იყო ჩემი პროფესია. ქ.ანგარსკიდან მოვიდა მოთხოვნა ჩელიაბინსკ 63-ში, რომ ესაჭიროებოდათ დამმონტაჟებლები. ისარგებლეს შემთხვევით, გამიფორმეს ყალბი ხელობა და მომიცილეს თავიდან. მე ვიყავი დაშინებული, რომ მეთქვა ჩემი ცუდად ყოფნის შესახებ, რადგან ნაწილი საიდუმლო იყო და მეშინოდა დისციპლინარული ბატალიონის, რის გამოც იძულებული ვიყავი გავჩუმებულიყავი და შეძლებისდაგვარად მემსახურა. ჩემი პირადი ფიზიკური მდგომარეობა არაფერმა არ შეცვალა, ვიყავი ცუდად.

პატ.თავმჯდომარევ ყოველგვარი ტყუილის გარეშე მე ვერც ქ.ანგარსკში ვერ შევძელი სამსახურეობრივი მოვალეობის გაგრძელება. ამავე დროს მარცხენა ფეხის ბარძაყის ქვეშ სიღრმეში ვიგრძენი 2 ცალი ბურთულა, რაც გახლავთ სეფსისის მოვლენა. ავადმყოფობის შესახებ მე ვერაფერს ვიძახდი. ქ.ანგარსკში "როტა", რომელშიც მე ვმსახურობდი რიგით სამხედროთ ჩვენი უფროსი იყო მაიორი მუხტალოვი და მამაშვილურად მკითხა თუ რა ხდებოდა ჩემს თავს და რომ არაფერი უთხარი გამცა ასეთი პასუხი: "შენ ეგ სიჩუმე დაგღუპავს". ერთადერთი ადამიანი, რომლისაც ძალიან დიდი მადლობელი ვარ იმიტომ, რომ გამართლდა მისი სიტყვები. ქ.ანგარსკში ვიმსახურე ოთხი თვე. უვარგისობის გამო აქაც მომიცილეს თავიდან და სამხედრო სამსახური გავაგრძელე ქ.ხიმაში (ციმბირის მხარე). ქ.ხიმაში ვმუშაობდი კვლავ ქიმიურ ქარხანაში. ქარხნის დასახელება ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს, რომ ტერიტორიაზე, სადაც ჩვენ ვმუშაობდით იყო ქლორის ნისლი. მე უკვე აღარ ვიცოდი რას ვაკეთებდი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ გამოუცდელობის გამო მარცხენა ფეხის ბარძაყის ქვეშ გამოსული 2 ცალ ბურთულას ყურადღებას არ ვაქცევდი. ჩემი ქცევის გამო როტის უფროსმა, უფროსმა ლეიტენატმა აშკარად შემიზიზღა. მოვითხოვე გოსპიტალი. მიზეზად რომ მქონდა სიცხეები. როტის უფროსმა, უფროსმა ლეიტენატმა შემომთავაზა ნაწილის სამედიცინო დაწესებულებაში სიცხის გაზომვა და შემპირდა თუ სიცხე არ მექნებოდა ჩამსვამდა გაობახტში. მე დავთანხმდი, რა თქმა უნდა იმიტომ, რომ მევიცოდი მქონდა სიცხე. სამედიცინო დაწესებულებაში ჩემი როტის უფროსი პირადად წამომყვა და პირდაპირ შემიყვანა სამედიცინო დაწესებულების უფროსთან, რომელმაც შესვლისთანავე მახალა, რომ მე ვიყავი ყველაზე "ეშმაკი" ქართველი, რასაც მე არ მოველოდი და მომაწოდა სიცხის საზომი. საზომი მოვითავსე ადგილზე და დავუცადეთ დროს. გარკვეული დრო რომ დადგა სამედიცინო დაწესებულების უფროსმა მთხოვა მიმეწოდებინა სიცხის საზომი. სანამ მივაწოდებდი სიცხის საზომს დავხედე და ისარი აჩვენებდა $37^0$-ს-ზე მაღლა, რამაც უფრო გამამხნევა, მაგრამ გადაწყვიტეს, რომ მაინც წავეყვანე გაობახტში, რის გამოც მე ვეღარ მოვითმინე და სამედიცინო დაწესებულების უფროსს შევაგინე ქართულად. მან ჩემზე აწია ხელი, დარტყმის შემდეგ მე გავიქეცი. სამედიცინო დაწესებულების უფროსმა ეცადა ჩემი დაკავება, მაგრამ ქურთუკი, რომელიც მეცვა ზემოდან შერჩა ხელში და ვეღარ დამაკავეს. 2 თვის განმავლობაში მე აღარ დავბრუნებულვარ ნაწილში. ჰუმანური თვალსაზრისით მე ჩემს დანაშაულს არ უარყოფ, ვთვლი ჩემს თავს დამნაშავედ, რადგან ძიების დროს მე როგორც მართალს მაქვს ჩანერგილი, რომ ვარ დამნაშავე.

პატ.თავმჯდომარევ გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩემს გარშემო მომხდარი ისტორია დანაშაულამდე, მოიწვიოთ ყველანაირი ექსპერტიზაცია და გაანალიზოთ სამედიცინო ექსპერტიზის თვალსაზრისით გაითვალისწინოთ ბურთულების მოვლენა, რომელიც შევამჩნიე 1981 წლის თებერვალში სამხედრო სამსახურის დროს. 1982 წლის 12 თებერვალს ვიყავი გასამართლებული.

გასამართლების შემდეგ 4 თვეში 2-2 ცალმა ბურთულამ იჩინა თავი, დაიწყო ზრდა (რაღა თქმა უნდა ამ დროს ვიმყოფებოდი შრომა-გასწორების კოლონიაში ქ.ტულუნში (ციმბირის მხარეს) და ამავე დროს დღითიდღე სივდებოდა მუხლი. ჩავარდი ლოგინად, მქონდა ძლიერი სახსრის ტკივილები, რადგან სახსარში მიმდინარეობდა ჩირქოვანი პროცესი მიზეზად გამოწვეული ბურთულებისაგან, რომელიც მქონდა მარცხენა ფეხის ბარძაყის ქვეშ. დროთა განმავლობაში ბურთულებმა ამოხეთქეს კანს ზემოთ უამრავ ჩირქთან ერთად და დატოვა 2 ცალი ნახვრეტი, რომელიც არ გავდა ფისტულას. იყო ღრმა, ძვლამდე თითის სიმსხოდ. ამ დროს მუხლმაც იწყო დაცხრომა. ბურთულების შესახებ მე ექიმისათვის არაფერი მქონდა ნათქვამი, რადგან მეგონა სხვადასხვა პროცესი. მუხლის ტკივილმა 2 ცალი ბურთულა სულ დამავიწყა, 2 ცალი ბურთულა ვიგრძენი მაშინ, როცა გასკდა. ავდექი ფეხზე, მე ყოველივე ამ პროცესის დროს საავადმყოფოში არ ვწოლილვარ. მხოლოდ კოლონიის სამედიცინო დაწესებულებაში ყოველივე ტკივილების შემდეგ მუხლში დამრჩა სისუსტე, უსიამოვნო ხმები. სამედიცინო თვალსაზრისით ამ ავადმყოფობის შემდეგ მუშაობა ყოვლად დაუშვებელი იყო, მაგრამ აქაც იგივე შეძახილები, რომ ქართველები ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ არ ვიმუშაოდ და იძულებული ვიყავი შემესრულებინა მძიმე სამუშაო.

პატ.თავმჯდომარევ მე არ ვუარყოფ იმას, რომ "ერთ ტალახიან ღორს შეუძლია გასვაროს ასი ღორი", "მაგრამ ყველას ერთ ტაფაშიც ვერ შევწვავთ", "მე ვთვლი ჩემს თავს, არ ვარ ამ ტაფის ღირსი". გთხოვთ გამომიყვანოთ მდგომარეობიდან. კარგად გაანალიზოთ ჩემი სიმართლე და მომაქციოთ უმაღლესი ყურადღება და ყველაფერი დაიწყოთ "ჩელიაბინსკ-63-დან", როცა ჩვენ 500 ქართველი ერთად მოვხვდით, ერთად ყოფნა გვიხაროდა და ეს ყველაფერი გამოდგა პირიქით თურმე არ უნდა გვხარებოდა. რადგან 500-ივე საფრთხეში ვიყავით. დაინტერესდით რაღა მაინცადა მაინც ჩვენ და ჩემი სისხლითაც კი დაგიდგებით გვერდში, ხოლო რაც შეეხება ოჯახურ მდგომარეობას ვარ ცოლ-შვილიანი, მყავს ორი გოგონა. რა თქმა უნდა ოჯახი ქართულია. უფროსი გოგო 11 წლის, უმცროსი 2 წლის. 1986 წელს გავთავისუფლდი ქ.ტულინში მძიმე მდგომარეობით, რადგან 1983 წელს კოლონიაში ყოფნის დროს გავიკეთე ოპერაცია. მარცხენა ფეხის წინა წვივის ძვალზე დიაგნოზით "ოსტიომელიტი", ხოლო საქართველოში დაბრუნებისას მქონდა უკვე "გონიტი" სახსრის დაავადება. ამას ყველაფერს რასაც ამ წუთში ვწერ თქვენთან მომართვა არ არის პირველი. მივმართე საბურთალოს რაიონის კომისარიატს 1987 წელს, მაგრამ ჩემი თხოვნა უგულებელყვეს, ვითხოვდი პენსიას. შემპირდნენ შეკითხვებს ყველგან იქ, სადაც მე ვმსახურობდი, მაგრამ აქაც უყურადღებობა. ბოლოს და ბოლოს მივმართე სამინისტროს პენსიის თაობაზე, მაგრამ მინისტრმა ბრძანა: რომ მე უნდა დავუცადო 1990 წ. რადგან არ მყოფნის სტაჟი და სულ არ აინტერესებთ ჩემი სამხედრო სამსახურის საყვედური.

პატ.თავმჯდომარევ, გამიგეთ მართლა და რა თქმა უნდა ქართულად, რომ მე სტაჟი არ მექნებოდა. როცა სამხედროში წავედი პროფტექნიკური სასწავლებლიდან, ჯარში დანაშაულისათვის მომისაჯეს 4 წელი. საქართველოში დავბრუნდი მძიმე მდგომარეობით და ვარ ინვალიდი. თუ ამ ქვეყნად სიმართლე არსებობს სტაჟს მე მგონი არავითარი მნიშვნელობა არ უნდა მისცეთ. დავამატებდი, რომ არის საშუალება აღვიდგინო ჩემი ფეხის მდგომარეობა. შეიძლება გაკეთდეს ოპერაცია და ვისარგებლოთ ხელოვნური მუხლით, რადგან მე მაქვს ჩაწვეთებული ეს ოპერაცია შეიძლება გაკეთდეს საზღვარგარეთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. თუ მაგალითად ყოველგვარი ექსპერტიზაციის შემდეგ იქნება შესაძლებელი რომ ოპერაციას გავიკეთებ აქ და აღვიდგენ მუხლს მე რა თქმა უნდა თანახმა ვარ თუ ჩამთვლით ამის ღირსად.

პატივცემულო თავმჯდომარევ თქვენი საზოგადოების სახელით და ჩემი ულრმესი თხოვნით, გთხოვთ უზრუნველყოთ ჩემი თხოვნა, აღიაროთ ჩემი სიმართლე და გაითვალისწინოთ, რომ მე ნამდვილად მჭირდება თქვენი დახმარება. ჩემ თავს ვთვლი, რომ ჩემი თავი საქართველოს სჭირდება ჯანმრთელი.

განმცხ. კ. ნაკაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შეხვედრა საკუთარ გონებასთან ღირსებასთან და ნამუსთან

საბჭოთა ქვეყანაში მიწასთან, წარმოების საშუალებებთან და კერძო საკუთრების სხვა ფორმებთან ერთად ექსპროპრიირებული და განსაზოგადოებული იქნა აზრი, იდეა და მისი წარმოების საშუალება – აზროვნება.

საბჭოთა ადამიანი ბედნიერი, მადლიერი და ამაყია იმით, რომ მის პიროვნულ, ეროვნულ, კლასობრივ, სქესობრივ, ასაკობრივ თუ სხვა საშიშ ანტაგონიზმებისაგან თავისუფალ, ერთიან, არადიფერენცირებულ, საბჭოთა იმპერიასავით უკიდეგანოდ განვრცობილ ტვინთა მონოლითურ მასაში, ერთი და იგივე იდეათა მრავალრიცხოვანი სერტიფიკატები დაჰქრიან, ხოლო თვით ეს იდეები – საერთო სახალხო სოციალისტური საკუთრებებით და წარმოადგენენ ობიექტურ ჭეშმარიტებებს დე-იურე, მთელს საბჭოთა ტერიტორიაზე.

ობიექტური ჭეშმარიტებების პარალელურად მიჰქრი-მოჰქრიან „ჯანსაღი", კონსტიტუციური, კომუნალური განცდები, მაგალითად – საპირველმაისო, საშვიდნოემბრო, საოცდახუთთებერვლო და ა.შ. სიხარულის; ჩაგრული მსოფლიო პროლეტარიატის ან უსაქართველოდ დარჩენილ თურქთა მდგომარეობით დამწუხრებულობის; სახალხო სოციალიტური იდილიისა და მყუდროების დამრღვევ, სამართალისა და აზრის კერძო – მაძიებლური სექტორის მიმართ საერთო, სინქრონული აღშფოთების; ლოკალურ-რესპუბლიკური პატრიოტიზმით შეპყრობილ ნაციონალისტთა, იდეალისტთა და სხვა ურიცხვ მტერთა მიმართ დაუნდობელი ინტერნაციონალისტურ-ჰუმანისტური მძულვარების; მტრებთან უშიშრად და მედგრად მებრძოლი წითელი ეშმაკუნებისა და კონსტიტუციური „ნადზირატელების" ხილული და უხილავი ლეგიონების მიმართ უსაზღვრო ნდობისა და მადლიერების და სხვა განცდები. თუ ამას დავუმატებთ რადიოს შექმნის დღიდან მუდმივად მჟღერ, უკვდავ მუსიკას ჩაიკოვსკის – „გედების ტბიდან" და სხვა, მივიღებთ საბჭოთა ადამიანის ნეირო-ფსიქოლოგიურ სურათს, რომელშიაც კონსტიტუციური განცდები და ობიექტური ჭეშმარიტებები, წინასწარდადგენილი ჰარმონიის მიხედვით, ასრულებენ თავიანთ მუდმივ მომაჯადოებელ ცეკვას.

ხსენებულ იდეებს მართლაც გააჩნიათ ობიექტურ ჭეშმარიტებათა ყველა ნიშან-თვისება. „ობიექტური ჭეშმარიტება, ადამიანის მოთხოვნილებისა და ნებისაგან დამოუკიდებელი ცოდნის შინაარსია, ინდივიდუალური ცნობიერების გარეთ არსებულ, მისგან დამოუკიდებელ საგნობრივ რეალობათა შესახებ"/ ფილოსოფიური ლექსიკონი, მოსკოვი, 1975 წ., გვ. 290-291/და თუ-კი ჭკუადმყოფელი არსება ხარ, არ შეიძლება ეს რეალობები უგულვებელჰყო, ჭეშმარიტებები არ გაიზიარო. საზოგადოებრივი პრაქტიკაც ამას ამტკიცებს. საზოგადოებრივი პრაქტიკა ხომ ჭეშმარიტების კრიტერიუმია. სწორედ ამ კრიტერიუმის და შესაბამისი საგნობრივი რეალობების მოქმედება განვიცადეთ ჩვენ საკუთარ ტყავზე 9 აპრილს, როდესაც პირისპირ შევეჯახეთ ხალხის ცნობიერების, ნებისა და მოთხოვნილებათაგან დამოუკიდებელი საბჭოთა სინამდვილის ობიექტურ, ჭეშმარიტ სახეს. შევეჯახეთ იმას, რასაც მარქსისტულ-ლენინურად საზოგადოებრივ პრაქტიკას უწოდებენ.

გედების გრაციოზული ცეკვის უკან ბნელი ჯადოსნობა წარმოჩინდა. ჭეშმარიტება არა იმ ლოგიკურად მწყობრ კანონპროექტებშია, რომლებსაც ჩვენი ინტელექტუალი პოლიტოლოგები გვთავაზობენ თავმომწონედ და არა იმ კანონებში, რომლებსაც დემოკრატიულად თუ არადემოკრატიულად იღებენ უმაღლესი საბჭოების ყრილობებზე თუ სესიებზე, ეს არ უთქვამთ მარქსიზმის კლასიკოსებს და პრაქტიკოსებს, ნათლადაა ნათქვამი ის, რომ ჭეშმარიტება საზოგადოებრივ პრაქტიკაშია, კერძოდ კი მაგალითად 9 აპრილის საზოგადოებრივ პრაქტიკაში, რომელიც დამოუკიდებელია ადამიანთა ნებისა თუ კანონმდებლურ – ლოგიკური უნარებისაგან.

ბნელ "ჭეშმარიტებებსა" და ჯალათური ალქიმიის პრაქტიკას დღეს ეროვნული მოძრაობა უპირისპირდება. მხოლოდ ერისა და სამშობლოს სიყვარულის და თავისუფლებისაკენ დაუცხრომელი ლტოლვის კატეგორიული იმპერატივები ქმნიან იმ რეალურ საძირკველს; რომელზედაც შესაძლებელი გახდება ჭეშმარიტი კანონმდებლობის, ეკონომიკისა და სახელმწიფოებრიობის შექმნა.

"პრაქტიკა ადასტურებს ობიექტური რეალობის დამოუკიდებლობას ჩვენი წარმოდგენებისაგან ამ რეალობის შესახებ". /ხსენებული ლექსიკონი, გვ. 400, სუბიექტური იდეალიზმი, ბოლო აბზაცი/. ამ მხრივ საბჭოთა ადამიანი არაფრით განსხვავდება მაიმუნისაგან, რომელიც აგრეთვე მხოლოდ პრაქტიკულად სწვდება ობიექტურ რეალობას, თუ გადაურჩა ამ პრაქტიკას, თუმცა სხვა მხრივ არის ერთი განსხვავება. მარქსიზმი გვასწავლის – ჭეშმარიტება, ყოველთვის ინდივიდუალური ცნობიერებისა და ნების მიღმა რჩება. კერძო აზრი განწირულია შეცდომებისათვის. არ ცდება მხოლოდ საზოგადოებრივი ცნობიერება, რომელიც საზოგადოებრივ პრაქტიკას ეყრდნობა. კერძო, ინდივიდუალური მოაზროვნე, სოციალისტურ საზოგადოებაში ბიოლოგიურად განწირულია. ვინ მოთვლის რამდენი ადამიანი შეეწირა მარქსისტული გნოსეოლოგიის უცოდინარობას. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ცოდნა ყოველთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა ახალი ადამიანისათვის. 72 წლის საზოგადოებრივმა პრაქტიკამ უჩვენა, რომ ეს იდეოლოგია საბჭოთა ადამიანის ბიოლოგიური გადარჩევისა და გადარჩენის დომინანტური ფაქტორია.

ახალი საბჭოთა ადამიანი, მაიმუნისაგან განსხვავებით, არის დიამატის მცოდნე – ჰომო-დიამატიკუსი. ჩვეულებრივი ჰომო-საპიენსი /მოაზროვნე ადამიანი/, ჩვენში თითქმის მთლიანად გადაშენდა. და თუ-კი აქა-იქ მაინც შემორჩა რამდენიმე ეკზემპლარი, გაუბედურებულ, საცოდავ მდგომარეობაში, "ღარიბად" და ნეობოლშევიკად შერაცხული ძველი ბოლშევიკებისაგან, ალბათ, საზოგადოებრივი პრაქტიკა მალე მათ საბოლოოდ მოუღებს ბოლოს. თუმცა მათგან მცირედი ნაწილი შესაძლოა საჩვენებლად და თვალის მოსატყუებლად მაინც გადაარჩინონ, რადგან საბჭოთა კავშირს აღებული აქვს საერთაშორისო ვალდებულებები იშვიათ ცხოველთა დაცვისა და შესაბამისად მათზე ნადირობის საწინააღმდეგოდ. ცხოველთა დაცვას ჩვენში თვით მონადირეთა კავშირი ახორციელებს და პრაქტიკოს მონადირეებს ალბათ დიდი დავა აქვთ ყოველი ეკზემპლიარის გამო – შეიტანონ თუ არა ის „წითელ წიგნში". აბა მონადირე რისი მონადირეა, თუ არ ინადირა. განსაკუთრებით ძნელია უარის თქმა სადარიზე ისეთ სამხრეთულ, „ცხელ" რესპუბლიკაში, როგორიც საქართველოა. ასე რომ, წითელი ფერისა და წითელი წიგნების მიმართ ალერგიული ჰომო-საპიენსი ჩვენში სრული გადაშენების რეალური საშიშროების წინაშე დგას.

ახალი საბჭოთა ანტროპოლოგიური ტიპი – ჰომო-დიამატიკუსი – საპირისპიროდ, არაჩვეულებრივ აღორძინებას განიცდის, მისი საზოგადოებრივ პრაქტიკაზე დამყნობილი ცნობიერება ობიექტურ, საყოველთაო ჭეშმარიტებათა ამოუწურავ მარაგს შეიცავს. ყოველგვარ ცხოვრებისეულ სტიმულზე იგი ჭეშმარიტებათა კასკადით რეაგირებს ისე, რომ დაფიქრებაც კი არ სჭირდება. მაგრამ სადაა ამ საყოველთაო ჭეშმარიტებათა წყარო? ინდივიდუალური ცნობიერებისა თუ განცდის წყარო თვით კერძო სუბიექტია, მისი აზროვნება გამოცდილება და პრაქტიკა. ვინ არის საზოგადოებრივი ცნობიერებისა და საყოველთაო ობიექტური ჭეშმარიტებების სუბიექტი?

ობიექტური ჭეშმარიტებები იბრძმედებიან „ხალხის" გონების, ღირსებისა და ნამუსის, ანუ აზრისა და ზნეობის „უმაღლეს ორგანოში". ამ ორგანოს [illegible] ტურალურად ხილვა შეგვიძლია ხოლმე მის დღესასწაულებზე, მისთვის უსაყვარლეს ადგილას, ამაყად გვამზე შეხკუპებულის, გვამით ამაღლებულის, გვამიდან გადმომყურალის. ჩვენივე გონება, ღირსება და სინდისი გვესალმება ამ მიმზიდველი ამაღლებიდან, ხელს გვიქნევს. ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის სანუკვარი ოცნებაა თუნდაც ცალი ფეხით, თუნდაც ერთი წამით შედგომა იმ დალოცვილ მარად ცოცხალ და უხრწნად გვამზე, საიდანაც, ალბათ, მთელი ქვეყანა ხელის გულივით მოჩანს, სადაც შეიძლება საკუთარი ჭკუის, პატიოსნებისა და ნამუსის ორიგინალს შეხვდე პირისპირ და ყვავილების თაიგული მიართვა, როგორც ამას აკეთებენ ხოლმე ბაფთებიანი სპეციალური ბავშვები, ლამაზი საბჭოთა ტრადიციისამებრ. ყოველივე ამის შემყურე, სპეციალურ მოსწავლე-ახალგაზრდობასთან იდენტიფიცირებული, ცრემლმორეული ჰომო-დიამატიკუსი კი წინასწარდადგენილი ჰარმონიის თანახმად, ტრადიციულადვე, კეთილი შურით აღივსება, ოცნებობს ბავშვობაზე და კიდეც ხდება მოსწავლე-ბავშვი, ხოლო გვამზე ამხედრებული ჭეშმარიტების მფლობელი საერთო-სახალხო აზროვნება და ზნეობა კი – „მასწავლებელი".

რას გვასწავლის „მასწავლებელი"? უპირველესად ყოვლისა იმას, რომ სწავლის დედაა გამეორება. არა ძიება, დაფიქრება, გააზრება, არამედ გამეორება. იმისათვის, რომ გამეორება სრულყოფილი იყოს, ჭეშმარიტებათა მექანიკური დახსომება არ კმარა, საჭიროა მათი ინტერიორიზება– გაშინაგნება. ჭეშმარიტებათა ინტერიორიზების მეთოდოლოგია დაეფუძნა ი. პავლოვის რეფლექსიოლოგიას, რომელიც ძაღლებზე ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე შემუშავდა. „მასწავლებელი" იყენებს იმ დროისათვის ყველაზე მოწინავე მეცნიერულ მიღწევებს, რომლებიც ტოვებენ ვიწრო-ლაბორატორიულ ჩარჩოს და ინერგებიან ფართო მასშტაბით. იწყება გამაიმუნებულ ადამიანთა გაძაღლების გლობალური პრაქტიკა. ჭეშმარიტებები ამოქმედდნენ ფიზიოლოგიური რეფლექსების დონეზე. აზროვნება არ არის საჭირო – ჭეშმარიტებას ვერც ახალს შემატებ რასმეს და ვერც შეცვლი, ის ხომ მარადიულია უხრწნადი გვამივით. ყოველივე ახალი, მხოლოდ ჭეშმარიტებისაგან განსხვავებულს, ანუ არაჭეშმარიტს ნიშნავს. ჭეშმარიტებათა მხოლოდ რეფლექსურად გამეორება შეიძლება. ამიტომ საბჭოთა სინამდვილე გამეორებებისაგან შედგება. რეფლექსიოლოგიის გვერდით იწყება აღმოსავლური მისტიკის მოწინავე გამოცდილების გაზიარება. საქმე ისაა, რომ ჭეშმარიტებათა გაუთავებელი გამეორებები სუბიექტებზე ერთ, დიდ უნივერსალურ მაჰა-მანტრასავით / სანსკრიტზე – მაჰა – უმაღლესი, მთავარი. + მან– გონება + ტრა– განთავისუფლება, გარეშე./ზემოქმედებენ: – ჰარე ლენინ, ჰარე სტალინ, ..., ჰარე მიშა, ჰარე ჰარე, ..., ჰარე ელექტროფიკაცია, კონსოლიდაცია, პლურალიზმი, ...

საზოგადოებრივი ცნობიერება ახალ-ახალი სიტყვებით ფართოვდება, სულ უფრო ძნელდება წინასწარდადგენილი ჰარმონიის შენარჩუნება. ხალხთა ცნობიერებაში თავს იჩენენ კოგნიტური დისონანსები, მაგ: – თუ ჰარე ლენინ, მაშინ როგორ-და ჰარე დემოკრატიზაცია? ...

ათწლეულების მანძილზე გამაგრებული რეფლექსები რღვევას იწყებენ. ჰომო-დიამატიკუსი გლობალური ნევროზით ავადდება. ნევროზს ჰარე პლურალიზმი აძლიერებს. ნაჩქარევად შეკოწიწებულ საბჭოთა მანტრაში სწორედ სიტყვა პლურალიზმი ხდის დისონანსს გადაუჭრელს. კოგნიტური დისონანსის მოხსნის ფსიქოლოგიური მექანიზმი, კოგნიტურ ელემენტთა სუბიექტური წონების გადაფასებაში მდგომარეობს. ჰომო-საპიენსისათვის, როგორც ცნობილია, პლურალიზმი ნიშნავს საზოგადოებაში არსებული ყველა აზრისათვის, იდეისათვის კერძო იქნება ის თუ ზოგადი, არსებობის თანაბარ უფლებას, ანუ როდესაც ყველა ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი აზრი, რაც გულისხმობს უფლებას არ მიიღო, ეკამათო ნებისმიერ სხვა აზრს. ჰომო-დიამატიკუსისათვის კი არსებობს მხოლოდ საზოგადოებრივი ცნობიერება, ამიტომ აზრთა ეს სიმრავლე მისი ცნობიერების კუთვნილებაა, ხოლო პლურალიზმი – აკრძალვაა მიანიჭო რომელსამე მათგანს პრივილეგია, ან სულაც განდევნო იგი. პლურალიზმი, ჰომო-დიამატიკუსისათვის, მოითხოვს არსებობის თანაბარ უფლებებს მისი ცნობიერების ყველა კოგნიტური ელემენტისათვის, რაც ფაქტობრივ ელემენტთა გადაფასების აკრძალვაა. კონსონანსის მიღწევა შეუძლებელი ხდება. მრავალი აზრის ერთდროული არსებობა საზოგადოებაში, მისთვის გადაუჭრელ შინაგან, ფსიქოლოგიურ პრობლემად იქცევა. ნევროზი ღრმავდება და ეკსისტენციონალურ ნევროზად ფორმირდება. „მასწავლებელი", სრულიად საკავშირო კაშპიროვსკის გზით ცდილობს პრობლემის გადაჭრას, ნევროზის სასწრაფოდ მოხსნას. რამ შეაწუხა ასე რიგად „მასწავლებელი" ? ან რატომ გვიკიჟინებენ ყოველდღე-განვდევნოთ ემოციები ჩვენი ცხოვრებიდანო. განცდები, გრძნობები ძალზედ მავნებელიაო. ვისთვის ან რისთვის არის ნეტავ მავნებელი ჩვენი ემოციები? მკვდრებისათვის ხომ არა?

ეკსისტენციონალური ნევროზი მართლაც ხდება ღრმა განცდათა წყარო, მაგრამ კარგადაა ცნობილი – ნევროზების მკურნალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს თავისი შინაგანი, სულიერი მდგომარეობის, წუხილების, შფოთვების, პრობლემების რაც შეიძლება სრული გამოხატვა, გამოთქმა შევაძლებინოთ.

იქნებ სწორედ იმიტომ ხდება სასტიკი მკვლელობები, გაუთავებელი სისხლიანი ჩხუბები, პერმანენტული სმა, ზნეობრივად გახრწნილი, გადაგვარებული, შხამიანი ღვინისა თუ არყისა / ოღონდ კი რამე იყოს დასალევი /, რომ ადამიანებს არა აქვთ თავისი განცდების გამოხატვის, პრობლემების გამოთქმის, პოლიტიკურ, სოციალურ, სამსახურებრივ თუ სხვა უამრავ აქტუალურ მოვლენებზე თავისუფალი რეაგირების საშუალება. როდესაც ამას მოკლებული ხარ, როდესაც სოციალურ თუ ფიზიკურ ტაბუს ადებენ მიტინგებს, დევნას გიცხადებენ საკუთარი აზრისა და მრწამსის გამოთქმის გამო, როდესაც გაშინებენ მოსკოვიდან ჩამოსული დამსჯელი ინსტრუქციების გამოყენებით, თუ არ შეწყვიტე აზროვნება და არ განაგრძე ჭეშმარიტებათა დასწავლა-გამეორება სახელმწიფო ჰარე უნივერსიტეტში, მაშინ ადრე თუ გვიან აუცილებლად რეაგირებ აფექტის სახით. აფექტი კი რეაგირების პათოლოგიური ფორმაა, როდესაც ადამიანმა აღარ უწყის, თუ რას ჩადის. უაზრობაა ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს უკიჟინო: ნუ ხარ აფექტში, აფექტი მავნებელიაო. და ნამდვილი ბოროტმოქმედებაა ეწეოდე ყოველდღიურ პროპაგანდას რადიო-ტელევიზიითა და გაზეთებით, დაწესებულებებში კი – ტერორს ნომენკლატორულ მუშაკთა საშუალებით, მიტინგების, მანიფესტაციების და პროტესტის, ადამიანური რეაგირების, სხვა მშვიდობიანი, აქტიური ფორმების წინააღმდეგ. ბოროტებაა იძახოდე – შენს მაგივრად ჩვენ ვიტყვით, ვიმოქმედებთ და გადავწყვეტთ ყველაფერსო და არ გაბედო ემოციის გამომჟღავნება, თორემ, პოლიტიკანს, ნეობოლშევიკს და „ღარიბს" გიწოდებ, ეს შენი ემოციები ახალ 9 აპრილს გამოიწვევენო.

სწორედ ასეთი „პროპაგანდისა" და აკრძალვების შედეგია ის მკვლელობები, რომელიც დღეს საქართველოში ხდება. ვიმკით იმას, რასაცა ვთესთ.

ნუთუ „მასწავლებელმა" არ იცის, რომ ორჯერ ორი ოთხია. რაღა თქმა უნდა იცის. მაშ რატომ აწუხებს მას ეგზომ ჩვენი განცდები? რატომ არის საბჭოეთში გამოცხადებული ემოციების დევნა? რატომ უპირისპირებენ ერთმანეთს ხელოვნურად აზრსა და განცდას? იქნებ სწორედ იმიტომ, რომ ნამდვილი აზრი არ არსებობს ნამდვილი განცდის გარეშე და განცდილი აზრი, თუ განცდადი აზრი – კი უსათუოდ ინდივიდუალურია, კერძო კონკრეტული სუბიექტის მონაპოვარია?

დიამატიკუსის ცნობიერება საყოველთაო, აბსტრაქტული ჭეშმარიტებების საკრებულოა. არც ერთი ამ ჭეშმარიტებათაგან არ არის შექმნილი, განცდილი უშუალოდ მათი მატარებელი სუბიექტების მიერ. ისინი აქ მხოლოდ მეორდებიან. ამიტომ დიამატიკუსის ტვინი სავსეა ჭეშმარიტებათა მრავალრიცხოვანი სუროგატებითა და ფანტომებით; ჰუმანიზმის, სიკეთის ქმნის, პლანეტარული ეკოლოგიური ცნობიერების, ინტერნაციონალიზმისა და სხვა უკვდავი ზნეობრივი ღირებულებებით, რომლებსაც ისინი ყველაზე და ყველაფერზე მაღლა აყენებენ, მაგალითად კონკრეტულ მოკვდავ თანამემამულეებზე, გაჭირვებულ მოყვასზე, საკუთარი ერისა და სამშობლოს სიყვარულზე მაღლა. საკუთარი სამშობლო და ერი, ბუნიუელის ერთი ფილმისა არ იყოს, მათთვის „წადილის ბუნდოვანი ობიექტებია". ეს სუბიექტები არაფრით არ განსხვავდებიან ერმანეთისაგან, ისინი ხომ განიცდიან და ფიქრობენ არა საკუთარ განცდებსა და ფიქრებს. ისინი მეორდებიან ისევე, როგორც მეორდება ყველაფერი ამ ქვეყანაში. „ძველი" ცეკას შემდეგ იგივე სუბიექტები მეორდებიან „ახალ" ცეკაში. საკაცობრიო ღირებულებებზე საუბრის შემდეგ სახალხო ფრონტის პირველი ყრილობის ტრიბუნიდან და მის გამგეობაზე, ისინი მეორდებიან რუსთაველის საზოგადოების ტრიბუნაზე და გამგეობაში და გამეორდებიან სახალხო ფრონტის მეორე ყრილობის ტრიბუნაზე და ა.შ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნულ მოძრაობას ყველგან უწოდებენ ნეობოლშევიზმსა და „ღარიბობას", შემდგომ კი, მათი ერთი ნაწილი მეორდება მერაბ კოსტავას, მათი აზრით „ღარიბთა ბელადის", პანაშვიდზე საფრანგეთში. რაღა თქმა უნდა ყოველივე კეთდება მხოლოდ „საკაცობრიო ჰუმანიზმიდან" გამომდინარე.

აბსტრაქტული ჰუმანიზმი, ყველაფრის გათანაბრების, უნიფიცირების და უცვლელად გამეორებადობის იდეები, მარქსიზმის ნეკროფილურ არსებას შეადგენს. საბჭოური იდეოლოგიისა და პრაქტიკის ავტორები ამ პათოლოგიური გენის სულიერი მემკვიდრეები არიან. ისინი, აგერ უკვე 69 წელი ადგანან, ჰუმანურად, თავისი საყვარელი მასწავლებლის ნეშთს და ამ ამაღლებიდან იცავენ სფინქსივით, მარადიულ ჭეშმარიტებათა ბალზამირებულ სამყაროს. სფინქსი გლეჯს და ყლაპავს ყველას, ვინც მის „შეკითხვაზე" პასუხისას სიცოცხლის ნიშნებს გამოამჟღავნებს, თუ ის საკუთარი აზრის მქონე ცოცხალი განცდის სუბიექტია.

ჰომო-დიამატიკუსს სულ უფრო მეტად უჭირს განსხვისებულ გონებასთან, ღირსებასთან და სინდისთან შეხვედრა. მისი ახალი, უჩვეულო განცდები წინასწარ – დადგენილ მკვდრულ ჰარმონიაში იჭრებიან, როგორც დამოუკიდებელი, ცოცხალი სამყაროს მატარებელი ეკსისტენციები. მისი ნევროზი – სიცოცხლის პირველი მერცხალია, საერთო სახალხო აბსტრაქტულ ჭეშმარიტებათა ნეკროპოლში.

ზოგადისაკენ გზა, კერძოს წვდომით იწყება. კერძო, კონკრეტული ისაა, რაც შენ თვითონ განიცადე და გაიაზრე. ჭეშმარიტება უნდა განიცადო გააზრებასთან ერთად. მაგალითად, მშობლის იდეას, ცნებას ვერ გაიაზრებ, თუ საკუთარი დედ-მამა არ გიყვარს, ან, თუ მშობლები არა გყავს, არ გიყვარს ადამიანები, რომლებმაც გაგიწიეს დედ-მამის მაგიერობა. საკუთარი მშობლის, ერისა და მიწა-წყლის სიყვარული, ის უპირველესი, ხელშესახები ჭეშმარიტებებია, რომელთა გარეშე ადამიანი არ არის მოაზროვნე არსება და ხდება ზომბი/უგრძნობი და უაზრო/. ერთმა მეგობარმა მითხრა, რომ ქრისტიანული ჭეშმარიტებები ერისა და მშობლის სიყვარულზე მაღლა დგანანო. ქრისტიანულია ლოცვა „ მამაო ჩვენო " და სწორედ საკუთარი მამის, მშობლების და სამშობლოს სიყვარულით იწყება გზა ღვთისაკენ. ღმერთი სიყვარულია, სიყვარული კი აბსოლუტურად კონკრეტულიცაა და უზოგადესიც ერთდროულად. „ შენ ხარ ვენახი" – უმღერის ქართველი ღმერთს და საყვარელ ვაზს. უზოგადესი ჭეშმარიტება სრულიად კონკრეტული, განცდადი და უნიკალურია თავის გამოვლინებაში. კონკრეტული და უნიკალური ჭეშმარიტებებთან მიმავალი გზა. ეს გზა კი მხოლოდ მაშინ შეიძლება გაიარო, თუ შენი გონება, ღირსება და ნამუსი შენვე გეკუთვნის.

„ მირონი თქვენდა! ჩემი მირონი
მიიღეთ თქვენთვის! ფრთხილად, არვინ შეგაცდინოთ
მოწოდებით: „აი, აქეთ!" ან „აი, იქით!"
რამე-თუ ძე კაცისა თქვენშია. მიჰყევით მას!
ისინი, ვინც ეძიებენ მას
ჰპოვებენ მას. "
მარიამის სახარებიდან.
ა მ ი ნ.

დავით ამირეჯიბი.

ღია წერილი თიანეთის ინტელიგენციას

უცნაური ხალხი ვართ ქართველები. რახან უარესი არ გვჭირს, უკეთესობისათვის არ ვირჯებით. მაგრამ ცხოვრება ამასაც არ გვაკმარებს და უარესზე უარესს მოგვარგებს ხოლმე. ადრე ამას თუ გადავიტანდით, ახლა ვეღარ გადავიტანთ. ადრე მშობლიური ფესვები თუ გადაგვარჩენდა, ახლა მშობლიურიც კი დავკარგეთ და გადავიქეცით ლამის მანქურთებად, ნუღარ ვიცრუებთ ჩვენ აღარა ვართ ქართველები. იქნებ ტყუილს ვამბობ, იქნებ არ გამართულა ზიზლის მომგვრელი, ხურნააჰყვიტინებული ქორწილები საქართველოში. იქნებ ყველა ერთმა ოცნებამ გაგვაერთიანა. ვაი, რომ არა...

თიანეთის მოსახლეობა ჩვენი ჯგუფის საქმიანობას სისულელედ ნათლავს. გიჟებს, გადარეულებს გვეძახის, დაგვცინის, ხოლო ინტელიგენცია თიანეთისა – უსაქმურებს და ლოთებს. არადა არა ვართ არც ლოთები და არც უსაქმურები. არც "ლიდერობა" გვსურს და დიდი სიამოვნებით დაგითმობთ ჩვენს "ტახტრევანს" თუ მობრძანდებით და გვერდში ამოგვიდგებით. უფრო სწორედ ჩვენ კი არა საქმეს ამოუდგებით გვერდით.

მაგრამ არ გვკადრულობთ... თუ რომელიმე ჩვენთაგანი არ მოგწონთ, საერთო საქმეს რატომ უარყოფთ და თუ საერთოდ არ მოგწონთ ჩვენი ორგანიზაცია, რატომ საკუთარს არ ქმნით, რატომ არის უმოქმედო თიანეთის რუსთაველის საზოგადოება, რატომ... საკუთარი უმოქმედობა ცდილობით დემაგოგიით გაამართლოთ, მაგრამ რა დიდი მიხვედრა უნდა თქვენი უმოქმედობის მიზეზს: ყველას პატარა ბიუროკრატიული პოსტი გიკავიათ ამ იდიოტურ სისტემაში. მისი დაკარგვის შიშს იმგვარად დაუბრმავებიხართ, რომ ვერ ხედავთ როგორ გეცლებათ სამშობლო ხელებშუა.

ჩვენ ერთი დღისათვის გაჩენილი ხალხი რომ ვიყვეთ გაჩუმდებოდა კაცი, მაგრამ ჩვენში იმედია ჯერ კიდევ. არსებობს წარსული და მომავალი... ჩვენ არ უნდა დავილუპოთ ისტორიის კატაკლიზმებში. მალე ეს იმპერია დაინგრევა, ის ერი გადარჩება, რომელიც ამ დანგრევის პროცესს სულიერად და ფიზიკურად ძლიერი შეხვდება. ერი ფიზიკურად გლეხმა უნდა გააძლიეროს. გლეხის შრომა დიდად დამოკიდებულია მის განწყობაზე. მისი განწყობა კი თქვენ უნდა წარმოშვათ ინტელიგენციამ, თქვენ უნდა იყვეთ ერის მორალური სარკე. ვიცი, თქვენთვის ძნელია ეშმაკის დატოვება, მაგრამ უნდა დატოვოთ, უნდა გამოხვიდეთ ხალხში, უნდა განიწმინდოთ და განწმინდოთ ერი სულიერად.

ჩვენ, ეტყობა ჯერ არ შეგვიმეცნია როგორი დიდი განსაცდელის წინაშე დავდგებით მალე. შეიძლება სამოქალაქო ომის გამართვამაც მოგვიწიოს. შინაურ მტერთან დასუსტებულები, დასავლურმა კაპიტალმა დაგვაკაბალოს, მალე შეიძლება ეროვნული უმცირესობად გადავიქცეთ. მალე შეიძლება ერი ისე გაირყვნას ამ სისტემის წყალობით, რომ პატიოსანი კაცი სანთლით საძებნი გაგვიხდეს.

ნუთუ ეს ყოველივე ვერ შეგვიმეცნია, ნუთუ ტყუილად დაიღვარა 9 აპრილს სისხლი მოწამეთა... ჩვენს ახალგაზრდა თაობას უდიდესი გამოცდა მოელის, მალე უდიდესი ტვირთი დააწვება მას ზურგზე. მათ თანადგომა სჭირდებათ, ნუ მივატოვებთ მათ, ნუ დგახართ განზე, ახლა განზე დგომა ღალატის ტოლფასია... სამსახურის დაკარგვის რომ გეშინიათ, ნუთუ ვერ ამჩნევთ საქართველოს დაკარგვის საშიშროებას.

ჩვენს რაიონში იმდენად დაბალ დონეზე დგას ... ვიტყოდი, რომ საერთოდ (არ არსებობს) ეროვნული თვითშეგნება, რომ უსუსურობისაგან ტირილი მოგინდა კაცს.

უყურებთ ერის გადაგვარებას, უყურებთ დამოკლეს მახვილს ერის კისერზე დაშვერილს და მაინც ჩუმადა ხარ, ეს ხომ ღალატია.

მაპატიეთ ეს მწარე სიტყვები, თქვენმა პასიურობამ ლამის პესიმისტად მაქციოს (ღმერთს მადლი, თქვენს შორის ჯერ კიდევ არიან სამშობლოს მოყვარული ადამიანები) იმის დიდი იმედი არა მაქვს დასთმობთ უშფოთველ ცხოვრებას და ეროვნულ მოძრაობას შეუერთდებით, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას თქვენში სულ მთლად ჩამქრალიყოს ღვთიური ცეცხლი.

ღმერთი ჩვენსკენ და თქვენკენ ჩემო დაშინებულო და გულგრილო თიანეთის ინტელიგენციავ.

პატივისცემით კახა კენკიშვილი

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ.

"დემოკრატიასა და საჯაროობაზე" კურსის აღებამ საბჭოთა სახელმწიფოს ბევრი მტრადმოკიდებული სახელმწიფო თუ პიროვნება მოყვარედ უქცია. საზღვარგარეთ თუ საზღვარშიგნით, დღესდღეობით, არც თუ ცოტა მოიძებნება, ვინც სწორედ "გარდაქმნამ" განაწყო მოსკოვის იმპერიის მიმართ სიმპატიებით. მათი დიდი ნაწილი ამ სიმპათიებს დღესაც ინარჩუნებს. თუმცა ახალი პოლიტიკის გამტარებლებმა უკვე არაერთხელ დაამტკიცეს, რომ არც ისე დემოკრატიულად არიან განწყობილი.

მინსკი, თბილისი, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, მოსკოვი, მოლდავეთი. უკვე რამდენჯერ იხმარეს ძალა დემონსტრანტთა და გაფიცულთა დასარბევად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ყველაფერს მხოლოდ მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა.

ანდა იქნებ გავიხსენოთ გორბაჩოვის გააფთრება, როცა ესტონეთმა მოითხოვა რესპუბლიკის სრულ გამგებლობაში გადაეცათ ისტორიულად მათთვის კუთვნილი მიწაწყალი "ვინ მოგცათ თქვენ მიწა".

სამწუხაროდ ქართველთა შორისაც შევხვდებით ადამიანებს, ვისაც "გულკეთილი" გორბაჩოვის და მისი თანამოაზრეების სჯერა და ვინ იცის დილაობით მადლობასაც უძღვნის ხოლმე "პერესტროიკის" გამო. ასეთთა ნაწილი უბრალოდ წმინდა პიროვნული მდგომარეობიდან გამოდის, ნაწილს კი გულწრფელად სჯერა, რომ ხსნა სწორედ აქედან უნდა მოვიდეს. არავითარი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ არის საჭირო (ყოველ შემთხვევაში ასეთი გაქანებით) დროთა განმავლობაში "პერესტროიკა", "დემოკრატია", "გლასნოსტი" ყველაფერს მოაწესრიგებს.

ამ ადამიანებმა არ იციან, ანდაც ავიწყდებათ, რომ საბჭოთა მთავრობა უბრალოდ იძულებული იყო გადაედგა ეს მათთვის საკმაოდ სარისკო ნაბიჯი. იგი შეეცადა ამით როგორმე გამოესწორებინა ის კრიზისული მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ქვეყნის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით ავღანეთის და პოლონეთის ამბების შემდეგ. დაინახეს რა წინამორბედის შეცდომები, ქვეყნის თითქმის გამოუვალი მდგომარეობა, რომელშიც ის ამ შეცდომებმა ჩააყენეს, ახალი მთავრობის წარმომადგენლებმა მკვეთრად შეცვალეს საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ყველაფერთან ერთად დემოკრატიზაციის კურსის აღება იყო მცდელობა როგორმე მოელბოთ გული განაწყენებული და გადამტერებული სახელმწიფოებისათვის.

საბჭოთა მთავრობამ აიღო კურსი დემოკრატიზაციისა და საჯაროობაზე, მაგრამ მხოლოდ მისთვის ხელსაყრელ ფარგლებში. ამ ფარგლებს იქით გასვლის მცდელობას რაც მოჰყვა, უკვე კარგად არის ცნობილი და ამ სტატიის დასაწყისშიც იქნა აღნიშნული.

ფაქტი ის არის, რომ ნამდვილი (სრული) დემოკრატიის პირობებში საბჭოთა სახელმწიფო უბრალოდ ვერ იარსებებს. არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკა არ დარჩება ნებაყოფლობით მის შემადგენლობაში.

აი ამას კი ქართველებშიც ყავს მოწინააღმდეგენი. ზოგიერს რომ ჰკითხო საბჭოთა კავშირი გვიცავს ჩვენ. კი მაგრამ ვისგან? ან რისგან გვიცავს?

ჩვენს დღევანდელ მდგომარეობაზე უარესი ეს იქნება ეროვნული თუ სოციალ-ეკონომიკური კუთხით რომელმა ხალხმა და ქვეყანამ უნდა დაგვმართოს? თუ კი შევურიგდებით მსოფლიოს ყველაზე განუვითარებელ ქვეყნებზე უარეს ცხოვრებას, უარს ვიტყვით ჩვენს ენაზე, მიწებზე, ადათწესებზე და საერთოდ ეროვნულ მეობაზე დავემორჩილებით მერე კი შევერწყმით (ისე როგორც ამ ქვეყანაში ხდება) რომელიმე ძლიერ ერს. რაღა უნდა მოგვთხოვოს იმ ერმა თუ ქვეყანამ, რისთვისღა უნდა დაგვსაჯოს ისე, რომ კიდევ დაცვა დაგვჭირდეს და ისიც ასე ძვირადღირებული.

საუკუნეების მანძილზე ქართველ ხალხს სწორედ ამ მიზეზით უწევდა ომები (ენა, მამული, სარწმუნოება, ეროვნული მდგომარეობის შენარჩუნება) ჩვენი მტრები სხვას რაღას მოგვთხოვდნენ. ჰო, იყო სხვათა დაპყრობით ომებში მონაწილეობა და ხარკი. არც ერთი და არც მეორე არ აგვცდა ამ ქვეყანაში. ავღანეთის ომში ერთი და ორი ქართველი არ დაღუპულა და ეროვნული შემოსვლის 70%-ზე მეტი, რომელიც ცენტრში მიდის, ისე როგორც ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკიდან, ასევე ხარკი არის და სხვა არაფერი.

რას წარმოადგენს საჯაროობა? დღევანდელი საბჭოთა პრესა რა თქმა უნდა გაცილებით ღია და თავისუფალია ადრინდელთან შედარებით, მაგრამ

გაზეთი „სამრეკლო" №2 28/XII-1989წ.

ძირითადში იგი ისევ ცენტრალიზებული და ტენდენციურია მთავრობის მიმართ.

დღეს, ისევე როგორც ყოველთვის ადრე საბჭოთა პრესა ფაქტიურად არ ამახვილებდა ყურადღებას ქვეყნის დღევანდელი ლიდერის ამა თუ იმ შეცდომაზე. სსრ კავშირის ხელმძღვანელობის ოფიციალური კრიტიკა ქვეყნის შიგნით ფაქტიურად არ არსებობს.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ"თეთრი ლაქების" მოსპობაზე. საბჭოთა კავშირის ისტორიის პირუთვნელ გაშუქებაზე. სტალინი, ბერია, ბრეჟნევი, სუსლოვი, ნაწილობრივ ჩერნენკო. ძირითადად ამ ადამიანებზე ცდილობენ გადაიტანონ სკკპ-ს ყველა ცოდვა და შეცდომა. თავი გავანებოთ ამ ხუთეულს, მათი კრიტიკის სამართლიანობას თუ უსამართლობას. ხრუშჩოვსაც ნუ შევეხებით, ზოგიერთი ლამის საუკუნის გმირად რომ ნათლავს. ვილაც-ვილაცეები იმასაც გაჰკრავენ ხოლმე კბილს და საკმაოდ მწვავედაც, მაგრამ ბრეჟნევის თანამებრძოლთა სიაში რატომ ივიწყებენ ანდროპოვს და გრომიკოს? "ბოროტი ენები" ამბობენ, რომ მათ საკმაო დამსახურება მიუძღვით საბჭოთა კავშირის დღევანდელი ლიდერის დაწინაურებაში. არადა ამერიკის ხმას თუ ვენდობით სწორედ ანდროპოვი იყო ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის მთავარი ინიციატორი.

50-60 წლის წინ დალუპული ფრუნზეს, კიროვის, კუიბიშევის სიკვდილის მიზეზებს იკვლევენ, მაგრამ თითქმის არაფერი არის ნათქვამი რალაც ათი წლის წინ "ტრაგიკულად" დალუპული ბელორუსიის ყოფილი I მდივნის მაშეროვის სიკვდილის, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაურ გარემოებებზე.

დასასრულს შეიძლება კიდევ ერთხელ ითქვას, მსოფლიოს ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე, ნამდვილ დემოკრატიას და საჯაროობას ვერავინ ეღირსება სანამ არსებობს საბჭოთა კავშირი.

ან იქნება საბჭოთა კავშირი - დემოკრატია მიუღწეველ ოცნებად რჩება.

ან გაიმარჯვებს დემოკრატია /რაც უეჭველად ასე იქნება/ და ეს უზარმაზარი იმპერია მრავალ დამოუკიდებელ ქვეყნად დაიშლება.

ალსანიშნავია ისიც, რომ ქართველებს ცხინვალში წალებული ჰქონდათ ი.ჭავჭავაძის და სხვა ქართველი ეროვნულ მოღვაწეთა სურათები, ლოზუნგებსაც წმინდა ეროვნული ხასიათი ჰქონდა. მოწინააღმდეგე ჯგუფმა კი მას დაუპირისპირა "პერესტროიკა" საბჭოთა დროშა, ლენინის სურათი. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ოსთა თვითმარქვია ბელადებს მაინცდამაინც არ აინტერესებთ თვითონ ოსების როგორც ეროვნების ბედი.

დასასრულს მოვიტანთ ნაწყვეტს "ირონ ასოციაცია რასდზინად"-ს (ოსური ასოციაცია სიმართლე) ღია წერილიდან.

რა გვაქვს გასაყოფი და გასარკვევი, ოსი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს დამოუკიდებლობაში ხედავს თავის ბედნიერებას და ქართველების გვერდით დალგება პირველი მოწოდებისთანავე

ღია წერილი საქართველოში მცხოვრებ ყველა ოსს. საქ ს/ფ და ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტს

ღია წერილი გამოქვეყნებულია რესპუბლიკის ოფიციალურ პრესაში.

ნუგზარ ჭოლიკაური

## ჩაშლილი მიტინგი

23 ნოემბერს ცხინვალში სედპ-ს ილია მართლის საზოგადოების და ჰელსინსკის ჯგუფის გადაწყვეტილებით უნდა გამართულიყო მიტინგი.

მიტინგის მიზანი იყო ქართველთა და ოსთა ერთ ნაწილს შორის ბოლო დრო ინდელი უსიამოვნო დაძაბულობის შენელება, ახსნა-განმარტება ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა.

ამ დღეს წინასწარგადაწყვეტილებით გარდა მიტინგის ინიციატორებისა საქართველოს ყველა კუთხიდან (მათ შორის ერწო-თიანეთიდანაც) ცხინვალისაკენ გაემართა 10 ათასობით ადამიანი. მიუხედავად სიმრავლისა, არც შემადგენლობით და არც სხვანაირად ეს მსვლელობა არ ჰგავდა საომრად და დასარბევად წასულ ჯარებს.

მაგრამ ცხინვალის მისადგომებთან მომიტინგეებს წინ გადაუდგა რამდენიმე ასეული ოსისაგან შემდგარი რაზმი, რომელსაც მერე ჯარის ნაწილები მოემატა. ორდლიანი მცდელობის მიუხედავად ცხინვალში მიტინგის ჩატარება არ მოხერხდა. მიტინგის ინიციატორები და მსვლელობის მონაწილენი თბილისში დაბრუნდნენ (ნაწილი პირველ ღამესვე წამოვიდა) დარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელიც ცდილობდა როგორმე ხელი შეეშალა მოსალოდნელი შეტაკებისათვის, მაგრამ შეჯახებები ოსებსა და ქართველებს შორის სამწუხაროდ მაინც მოხდა და ეს უკვე კარგად არის ცნობილი მთელ რესპუბლიკაში.

მიტინგის ჩატარების ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. გარდა ამისა, ამ ამბების შემდეგ მოხდა არც თუ სასიამოვნო მოვლენები, მაგრამ ჯერ ერთი ამ აქციამ კიდევ ერთხელ აჩვენა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მასშტაბები საქართველოში, 10 ათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა მსვლელობაში.

მეორე, აქ კიდევ ერთჯერ დამტკიცდა, რომ ქართული ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა მშვიდობიანი გზით მიდის. კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, მომიტინგეებს არ უხმარიათ ძალა წინალობის გასარღვევად, არადა ამის გაკეთება თავისუფლად შეიძლებოდა დასაწყისში მაინც როცა იქ რალაც ოცდაათამდე კაცი იდგა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსვლელობა ორჯერ შეჩერდა, სწორედ ამ პერიოდში მოასწრეს ოსებმა გზის გადაკეტვა.

ოსეთის ამბებთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები წამოიჭრა ისეთ ერთი შეხედვით სუფთა ქართულ რაიონში, როგორიც თიანეთია. აქ სხვა ეროვნების ხალხი სულ რამდენიმე პროცენტს შეადგენს. ეს რამდენიმე პროცენტი ძირითადად სოფელ ბოჭორმაში მცხოვრებ ოსებზე მოდის. სწორედ აქ მოხდა ის ამბები, რაზეც გაზეთი "ახალი თიანეთი" წერდა (№145 თითქმის ნახევარი მიეძღვნა.)

ბოჭორმის მცხოვრებლებმა (იქ მცირე ნაწილი ქართველებიც ცხოვრობენ) უკმაყოფილება გამოთქვეს ცხოვრებისეული პირობების გამო, მიზეზად ეროვნული განსხვავება დაასახელეს და მოითხოვეს საგარეჯოს რაიონთან შეერთება (საინტერესოა თუკი ეს მართლაც ეროვნული მიზეზით ხდება საგარეჯოც ხომ ძირითადად ქართველებით დასახლებული რაიონია)

ეროვნული მოძრაობის მეთაურებს არაერთხელ განუცხადებიათ სიტყვიერად თუ წერილობით, რომ ისინი არ ებრძვიან არცერთ ერს და ეროვნებას რესპუბლიკის გარეთ თუ შიგნით. მათ შორის არც რუსებს, არც ოსებს. ეს მოძრაობა მიმართულია უშუალოდ კრემლის საბჭოთა ქვეყნის და მისი მთავრობის წინააღმდეგ. სხვა ერის, პირველ რიგში საქართველოში მცხოვრები, წარმომადგენელთაგან მოვითხოვთ ჩვენი კანონიერი მოთხოვნების აღიარებას მიწებზე თუ ენის თუ სხვა საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ბრძოლას თუკი იგი მაინც გახდა საჭირო მოგვიწევს იმათთან, ვინც ამ ჩვენ კანონიერ მოთხოვნებს არ მიიღებს და მათ შესრულებას წინ აღუდგება. ასეთები კი სამწუხაროდ მარტო არაქართველებში არ არიან.

ის, რომ არაქართველებშიც ბევრს სწორად ესმის ჩვენი ბრძოლის და მოთხოვნების, იმითაც დასტურდება, რომ 23-24-ში ცხინვალისაკენ წასულ ხალხში მარტო ქართველები არ იყვნენ.

რაც შეეხება ოსებს, მათი დიდი ნაწილის განწყობილება კარგად ჩანს რესპუბლიკურ გაზეთებში (პირველ რიგში "ლიტერატურული საქართველო") გამოქვეყნებულ სტატიებში. მათ შორის იყო ბ.დუდაროვის სტატია, რასაც მოჰყვა 2 დეკემბრის მიტინგი და "ირონ ასოციაცია რასდზინად"-ის შექმნა.

ცხინვალის ჯგუფის წარმომადგენლებმა ბოლოს და ბოლოს უნდა შეიგნონ, რომ მათი მოქმედება პირველ რიგში ოსი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება და მათ საზიანოდ არის მიმართული. ცნობილია, რომ სამხრეთ ოსეთის გარეთ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე უფრო მეტი ოსი ცხოვრობს, ვიდრე თვითონ ავტონომიურ ოლქში.

## წვევამდელებს და ყველას

ამ რამდენიმე წლის წინ, სამხედრო სამსახურის დამთავრებამდე ორი თვით ადრე დაიკარგა ზაზა ცალუღელაშვილი. ძალზე კარგი ქართველი ბიჭი... დედის ყოველნაირი ცდის მიუხედავად (მამა არ ჰყავდა) საწყალი ბიჭის ვერ იპოვეს ვერც მკვდარი, ვერც ცოცხალი...

იმ წლებში ბევრი იყო ამგვარი შემთხვევა, თუთის კუბოებით ბევრი ჩამოასვენეს მაშინ საქართველოში, მაგრამ ასე არასოდეს ამდგარა მთელი საბჭოეთი საქართველოს წინააღმდეგ. სალდავები თავიანთ ცხოვრების უბადრუკობას ქართველებს აბრალებენ და სიძულვილს ყოველნაირ ფორმებში გამოხატავენ. ხოცავენ ჩვენს თანამემამულეებს, სტუდენტებს, ჯარისკაცებს, მშრომელებს. რეაქცია მძლავრდება, რუსეთი იშლება. დაშლის პროცესი რუსებს კუჭის შიმშილით, ხოლო ზურგს როზგით აუწვავს და ყოველივე ამას მთლიანად ქართველებს დააბრალებენ, დაიწყება მასობრივი გენოციდი ქართველების წინააღმდეგ. ამ დროისათვის ყველა ქართველი საქართველოში უნდა იყვეს და ამ აპოკალიფს მომზადებული შეხვდეს. არ შეიძლება გავიმეტოთ არცერთი ქართველის სიცოცხლე. ამიტომაც მოგმართავთ თქვენ ნუ იმსახურებთ საბჭოთა არმიაში, იმ არმიაში, რომელმაც თქვენი და-ძმები დახოცა. გახსოვდეთ, უახლოეს მომავალში ქართველი ყველაზე უუფლებო ჯარისკაცი იქნება (თუ უკვე არ არის) საბჭოთა არმიაში. ნუ ჩაიგდებთ თავს საფრთხეში.

მაშინ ერთიანი ძალით გამოვუცხადოთ უნდობლობა საბჭოთა არმიას და ვილვაწოთ ეროვნული არმიის შექმნისათვის.

ღმერთი ჩვენსკენ.

კახა კენკიშვილი

17 ოქტომბერს დაბა თიანეთში სტუმრად იყო ი.ბათიაშვილი. თიანეთის კულტურის სახლში იგი შეხვდა რაიონის მცხოვრებლებს.

ი.ბათიაშვილმა დასაწყისში ღრმა მწუხარება გამოთქვა მერაბ კოსტავას გარდაცვალების გამო. აღნიშნა, მისი დიდი დამსახურება ქართულ ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ის დიდი დანაკლისი, რომელიც ამ მოძრაობამ მისი დაკარგვით განიცადა.

ამის შემდეგ მან ისაუბრა წვევამდელთა აქციის შესახებ, კერძოდ თქვა, რომ ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის საკმარი აღარ არის მარტო მიტინგები, როგორც ეს დასაწყისში იყო. ახლა აუცილებელია უფრო ქმედითი ღონისძიებები. მათ შორის არის ქართველი ახალგაზრდობის მიერ საბჭოთა ჯარში სამსახურზე უარის თქმა.

გამომსვლელმა ხაზი გაუსვა იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს გაზაფხულის და შემოდგომის აქციებს შორის, იმას რომ უკანასკნელი გაცილებით რთული და სარისკო არის და ამ საქმეში აუცილებელია ხალხის თანადგომა და ერთიანობა.

აქცია ემყარება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის (დაპყრობის)ფაქტის აღიარებას და 1949 წ. ჟენევის კონფერენციაზე მიღებულ შეთანხმებას, რომელშიც ნათქვამია, რომ მაოკუპირებელ (დამპყრობ) სახელმწიფოს ეკრძალება ოკუპირებული (დაპყრობილი) ქვეყნის მცხოვრებთა სამხედრო სამსახურში გაწვევა.

გამომსვლელმა ხაზი გაუსვა აგრეთვე იმას, რომ ჩვენი დღევანდელი ბრძოლა არის არა რუსი ხალხის, არამედ საბჭოთა ქვეყნის და მისი მთავრობის წინააღმდეგ.

დასასრულს ი.ბათიაშვილმა გამოთქვა სურვილი კიდევ ერთხელ უკეთეს პირობებში ეწვეოდა თიანეთს.

წვევამდელთა აქცია თიანეთში პირველად მოეწყო გაზაფხულზე ეროვნული ხსნის თიანეთის კავშირის ხელმძღვანელობით. მაშინ მჯდომარე გაფიცვაში მონაწილეობდა 24 ახალწვეული, რომელიც უარს ამბობდნენ ემსახურათ რესპუბლიკის გარეთ. მიღწეული იქნა ამ ახალგაზრდების გაწვევის გადავადება. რაც შეეხება შემოდგომას სამჯერ 13 და 17 ოქტომბერს, აგრეთვე 2 ნოემბერს იყო მცდელობა მჯდომარე გაფიცვის მოწყობისა. ამჯერად, როგორც უკვე ითქვა, მოთხოვნით საერთოდ აიკრძალოს ქართველი ახალგაზრდების გაწვევა საბჭოთა ჯარში. გარდა ამისა, იყო მოწოდება თადარიგის ოფიცრების თუ რიგითების დაებრუნებინათ სამხედრო ბილეთები. ერთიანი აქციის მოწყობა არ მოხერხდა. თიანეთის რაიონიდან დღესდღეობით გაფიცული არის ერთი ახალწვეული, ხოლო ერთმა დააბრუნა სამხედრო ბილეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "ლენინი ჩვენთან არის"

კომუნისტური ლოზუნგი

1989 წლის 10 ნოემბერს გაზეთი "ლიტერატურული საქართველო" დაიბეჭდა პატივცემულ ნ.სტრუვეს წერილი "მასალები რუსული ეკლესიის ისტორიისათვის". ამ სტატიაში გამოქვეყნდა ლენინის მიმართვა "სასტიკად საიდუმლოდ" პოლიტბიუროს წევრებისადმი. ამ წერილში ლენინი მოუწოდებს პოლიტბიუროს წევრებს, რომ რაც შეიძლება სწრაფად იმოქმედონ მდიდარი ეკლესიების, ლავრების გასაძარცვად და აგრეთვე რაც შეიძლება "ყველაზე გავლენიან შავრაზმელთა" ძალზე დიდი ოდენობის დახვრეტით, და "შეძლებისამებრ დაიხვრიტონ მეამბოხენი". ეს აქცია მართლაც ჩატარდა, ჩატარდა სამღვდელოების და მათი მხარდამჭერებისათვის მეტად სავალალოდ და ეს გააკეთა მსოფლიოში ყველაზე "ჰუმანურმა" ადამიანმა. მე მხოლოდ ერთ ფაქტს დავამატებ პატივცემულ ნ.სტრუვეს წერილს: 1918 წლის 3 სექტემბერი კრემლის კომენდანტის პავლე დიმიტრის ძე მალკოვის ჩანაწერებში: "ადამიანის განსაკუთრებით ქალის დახვრეტა იოლი საქმე როდია, მაგრამ არასდროს შემხვედრია ამაზე უფრო სამართლიანი განაჩენის სისრულეში მოყვანა... განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი და აღვასრულე იგი მე საკუთარი ხელით". პატივცემულო მკითხველებო, თქვენ ალბათ მიხვდით, თუ ვის ხვრეტს მალკოვი: იგი ხვრეტს ესერ ქალს – კაპლანს, რომელმაც ლენინს ესროლა და დაჭრა კიდევაც. მალკოვი ამ შემთხვევაში მართალია, რადგან მან დახვრიტა დამნაშავე, მაგრამ მალკოვი იმასაც წერს, რომ არასოდეს შეხვედრია ასეთი სამართლიანი განაჩენის სისრულეში მოყვანა. საკითხავია ამ ჯალათმა, რამდენი უდანაშაულო ადამიანი გაისტუმრა საიქიოს ლენინის ბრძანებით?!

ჩვენ ბავშვებს ასე გვასწავლიდნენ და დღესაც ასე გვასწავლიან სკოლებში, რომ ლენინმა სთხოვა სასამართლოს ეპატიებინათ კაპლანისათვის დანაშაული, ვითომ სასამართლოსაც მხედველობაში მიუღია ლენინის ეს თხოვნა და დამნაშავესათვის უპატიებიათ. ასეთი ზღაპრებით გვიშინდავდნენ გონებას არა მარტო ბავშვებს, არამედ დიდ ჩამოყალიბებულ ადამიანებსაც. განა ზღაპარი არ არის თუნდაც სსრკ მთავრობის სიტყვები, რომ საქართველო სუვერენული რესპუბლიკაა. ამ მათთვის ლამაზი, ნოყიერი მისატყუებლით გვკვებეს 70 წელზე მეტი. ნუთუ აღარ დადგა დრო, რომ საქართველო იყოს მართლაც დამოუკიდებელი და არა ფიქტიური. ჩვენ უნდა შევძლოთ საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის მოპოვება ამაზე მოგვიწოდებს 9 აპრილს, 15 ივლისს დალუპულთა სისხლი, ერთად დავდგეთ, ერთ მუშტად შევიკრათ და მისაგებელი მივაგოთ ყველას, ვინც რას იმსახურებს. ამ წერილს ვამთავრებ ალ.ყაზბეგის სიტყვებით: "მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს. გადასწყვიტე თემო!" ჩვენც გადავწყვიტოთ ხალხო!

ალექსანდრე პატურაშვილი

---

ახლა, როდესაც ევროპაში სოციალისტური ბანაკი იშლება, როდესაც კომუნისტურ-ფეოდალურმა წყობილებამ ცალი ფეხი საიქიოსაკენ გადადგა, თიანეთში ახლიდან დაიწყო სოციალიზმის შენება. ამ მიზნისათვის, თუ იმისათვის კი მარქსიზმით გამოლენჩებული ახალგაზრდობაა საჭირო.

„ აბა რა მოსაწონია, როცა მეთერთმეტეკლასელი ბავშვები, ისიც გოგონები არაფორმალთან შეხვედრაზე მიგყავთ./იგულისხმება ირაკლი ბათიაშვილი/.თქვენ გინდათ, რომ არაფორმალებმა ბავშვებს თავისი აზრები მოახვიონ თავზე? ანდაც ეს შინდისფერი დროშა შავი ლენტებით, რა უფლებით აღმართეთ? ვინ იყო კოსტავა, ასე რომ გლოვობთ? ერთ-ერთი ლიდერი იყო მეტი ხომ არავინ.თუ „კომუნისტში" გამოაცხადებენ მაშინ გამოკიდეთ დროშა ლენტებით.რომელი დროშა? რა თქმა უნდა საბჭოთა და არა ეს." -ასე ეუბნებოდა თიანეთის განათლების განყოფილების გამგე მერი ბოდველი, ღულელების საშუალო სკოლის მასწავლებელს ქალბატონ ნათელა არაბულს, რომელმაც თავისი მოსწავლეები დაასწრო შეხვედრას ირაკლი ბათიაშვილთან, თიანეთში

აქ კომენტარი ზედმეტია. ერთს კი ვისურვებდი.ქალბატონ მერის სამი ბავშვი ეზრდება. ღმერთმა ქნას- მის შვილებს არსოდეს დასჭირვებოდეთ მარქსისტული თეორიების დაზუთხვა. თავისი კონსერვატორი დედის რადიკალი შვილები ყოფილიყვნენ და არასოდეს შეშინებოდეთ შინდისფერი დროშის გამოკიდება.

კახა კენკიშვილი.

---

## ყივილი მომავლიდან

ქება რად უნდა ენითა,
ომმა თქვას ქუხილიანმა
(ფხოური ლექსიდან)

ბრძოლების მხურვალება არ გაუგრილებია სისხლით. ცდის ფხაზე კი იდგა მუდმივ.

მებრძოლობა მერაბის სულს დააკნინებდა. მებძოლია ყველა, ვინც მხრით მოანგრევს გაქვავებულთა რიგს და გზა შუაზე ჩაიჩოქებს სადმე, ეგოიზმი და სოფლიონობა მოზიდება მათ წინ.

მებრძოლები ცხოვრებიდან ცერდებიან

მეომარი იყო. მეომარი ცოტაა.

იგია მეომარი, ვინც მდუღარი გულით მოარღვევს ყადაღადადებულთა წალიკს, რათა გააფხიზლოს, მოახედოს იქით; მოახედოს გამოღმა და ბოლო სამანთან ასულს მოაგონდება მშიერს ლუკმა, მწყურვალს – ღელე, დაღლილს – ლოდი, შემციუდს – ნაბადი, დასიცხულს – საგრილებელი. მიდის უჩერებლივ, მიდის უსხეულოდაც, მიდის მარტოოდენ სული კელაპტრიანი, სახალხო მეჩირალდნე.

მეომარი ერის ტკივილებიდან ალმოცენდება.

მოფრიგავდა ორბი თურმე, მე ნაგრილი მეგონა,
მოსდებოდა ზეცას ალი, ამთქნარებდა მეგონა,
ლექსებს, ფრთამხარ დანაბდულებს, ყელებს სჭრიდნენ მეგონა,
ლარის წყარო წვრილ სანსალით ჯამს ავსებდა, მეგონა,
როდის იყო – მარტის ქუხილს თვლი შემოსცინოდა,
დაიმდურა პირიმზე და ია ნაბაგბაგები ...
ამოვარდა ორთქლი მთიდან, მოსახმარი ღვინოდაც,
და ხარებმა შუაღამით აანგრიეს ბაგები.

ლირლიტასთან არ მჯდარა და მხვნელი ერქვა, თესლმარცვალი არ მიუყრია მიწის ნისკარტისათვის და იყო მთესველი.

მიდიოდა ცალად, მიდიოდნენ ორნი, გახდნენ ცხრანი, მერე ათასნი. ის ერთადერთად დარჩა. ერთადერთ მერაბ კოსტავად, ეწამა, იადა. აქრეს, ენთო. აჩუმეს, ბუბუნებდა. იდგა და მიდიოდა, იჯდა და მიდიოდა, იწვა და მიდიოდა. ეპიურიელ იყო, რომანტიკოსიც, ჭეშმარიტების ენით მოლაპარაკე. ცისა და მიწის პოეზია თვალებში ჩაჰბუდებოდა. იქვე ხმლისპირული ნაპერწკლები უგროვდებოდნენ. დასცეს და თავადვე უნებეს ბეჭების ჩამობერტყვა, შებლალეს და მერე მამულის წვენში ამოვლებული სტრიქონებით მიმოწმინდეს.

თავისი ხატი, უხავსო რწმენის ბომონი აღმართა ძველი ძვლებით, შორეულთა აკლდამების ნაფხვენებით.

ლაშარს შემოდგა თეთრი კურატი,
თეთრი კურატი სად გაგონილა...
ცეცხლი დაეგზნო წვრილ სამყურათი,
სამყურის ცეცხლი სად გაგონილა...
სიტყვის აენთო გრძელი სანთელი,
სიტყვის სანთელი სად გაგონილა...
თმა შეიტუსა ყანით ნათელით,
ყანის ალქროლა სად გაგონილა...

ცხოვრება მისი ჰგავდა შტილში ჩაკუნჭულ მეცხრე ტალღას, კლდეებს რომ შეხეთქებოდა მერე. დილა მისეული დამსგავსებოდა მკათათვის შუადღეს, ღამე მისმიერი, ფიქრთმტვირთველი და ოცნებათ მჭედელი, დაჰფერებოდა ნაცისკროვან ტყეს, აბოყირებულს ათასგვარი ბგეროვნებით. კოსტავასეული რიყრაყი მზე ხენიტობდა, საღამოს მოაბრაშუმება შეჰფოფინებდა ერთ ნათლის სვეტს, რომელსაც კაცთაგან ჰქვია საქართველო, საგალობელთაგან კი უფლის წილხვდომილი საოცრება.

საუკუნეთა ჯაგმაგებში ნაკაწრმა მამულის პატიოსნებამ, ამ ზეცის მარიამისეულმა ნამუსმა და სიწმინდემ, ამ მთების ლომისებურმა გაუმეტიჩრებელმა სიამაყემ, დაშაშრული მუხების გელათურმა სიბრძნემ თავშეფარებულებმა თავიანთ ხმაჩაწყვეტილ ტკივილებში – ამბოხჰყვეს იგი, ათქმევინეს ქვის სათქმელი, თევზის სათქმელი. მტერს, მეშურნეს, სიკეთედაუნახველთ ექადნებოდა და სისხლი არ მოსწყურებია არსად არავისი არასდროს.

ლაპარაკობდა თავისუფალი საქართველოს ენით, სამომავლოს მადლით.

ჰფიცავდა ძმობის ნიშებს, ამართულთ ბევრგან, მაგრამ თავს ესხმოდა ავ სიტყვას – განგებ თქმულს დავითის სადროშოზე.

ჭრიალაა, ღრიჭინაა წუთისოფლის ბორბალი. ერთხელ ვერ გაპოხეს, როცა ქრისტემ და მაჰმადმა ლამის ერთმანეთს ჩამოართვეს ხელი, მაშინ სჩხვერონ, დაჰკივლონ, დაჰქოქოლონ, მელოზა შეუგინონ კაცს და ისიც რაად? სამშობლოს მარადყვავილოვანი სიყვარულისათვის! ჩვენი პატარა წყალჭალის უფლებათა დაცვისათვის!

ჭრიალაა, ღრიჭინაა ერთობ საწუთროს მორგვი და თვალი.

მერაბ კოსტავას დღემოსწრება არა ყოფილა უსაზმნო ატაცება, საყმაწვილო ჟინი, გაუცნობიერებელი სიჯიუტე, გახელებული ირმის გზადაუნახველი ქროლვა.

იგი მოდიოდა ბასიანიდან, ალავერდიდან, მოდიოდა დიდგორიდან, ყინწვისიდან, მარტყოფიდან, სვეტიცხოვლიდან, მოდიოდა იყალთოდან, ვაზიდან, ჯავრიდან, ხუნდიდან, ქართული ქუდიდან, ხარის რქიდან.

სიტყვას ფიცხელსა იტყვიან მთას ძმანი ამოდიანო,
კალმახი თავთხელს დაუცქვრა, მიჰქაფავს სალოდიანოს,
მე იფქლის ცომი მოვზილე, შავი რად ჩააკვრიანო
წალმა გავუშვი ლრუბელი, რისთვის უკუღმა ჰქრიანო.

ლეკვმა დაკარგა მწურთნელი, დედა რამ დააჭკვიანოს,
შემოვარდება შავლეგო, ნალნი დაპერწკლებს ჰყრიანო,
ჯიხვნი მოებნენ კეტამებს, გრიგალნი დაითვლიანო,
მიწას გაკრული ტოტები ცისპირად იხრებიანო.

იგი მიემართებოდა მხოლოდ ნამის ღირს ბალახისაკენ, ფერადი კენჭების ღირს ნაკადულისკენ, ტაძრისკენ, სადაც ქართვლის დედის თვალები ანათებენ, სახლისკენ, სადაც წინაპრის აჩრდილია მასპინძელი, მიემართებოდა შარაგზისკენ, რასაც ქართული არგანი უკაკუნებს, ძველ დროებათა ფრთების მტვერი დაჰყრია.

მიდიოდა არწივთა თავისუფალი საირაოსკენ, ბედისწერამ უყელა.

სიკვდილის ქორი მოფრინავს, წყალმა დახუჭა თვალი,
ამოარჩია მიმინო, ყინულს აჰვარდა ალი.
ვაი გამზრდელსა, თორღვაი ვერ დაახვედროს ვინაც,
ვა მუმუს უმეტებული ვერ გაატანოს ხათრით,
ვაი, სიკვდილმა რომელიც პირქვევით დააწვინა,
ვა, ვინც თავის წილს ვერ ნახავს ვარსკვლავს
ყელგამოლადრილს.

შავეთი უხმობს წინწინ რჩეულთ. ვერაგი კანონია, ვერანაირად გაუქმებული.

მერაბ კოსტავას ზედ დაეფინება დროშა ეროვნული როგორც მეომარს, როგორც წარსულიდან აფრენილს, აწმყოში ფრთამხრებ მოტყლაშუნეს, როგორც ყივილს მომავლიდან.

დაემსუბუქება მიწა, გულზე დაყრილი, საუკუნეთა მუჭით შენახული, რომლის ღირსებისთვისაც სეტყვიან ცასავით დგანდგარებდა ბოლომდე.

იოსებ აფციაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაიმუნთა მსოფლიო კრების და მაიმუნთა უფლებების დაცვის სოხუმის ჯგუფის ერთობლივი საპროტესტო განცხადება

ამ ბოლო დროს ადამიანთა გარკვეულ წრეებში გაჩაღდა მაიმუნთა საზოგადოებისადმი ცილისმწამებლური, ავაზაკური კამპანია. ჩვენ ვიცოდით, რომ ადამიანები ბინძურნი და ცოდვით სავსენი იყვნენ, მაგრამ მათი თავხედობა იქამდე მივიდა, რომ ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის, ეჟოვის, ბერიას და სხვა ბოლშევიკების ცოდვებს ხსნიან იმით, თითქოს და მათი წინაპრები იყვნენ მაიმუნები. ჩვენ მივმართეთ ბოლშევიკებს. ბატონო ბოლშევიკებო საინტერესოა ეს "პატივცემული გვამები" მაიმუნთა რომელი ოჯახიდან გამოვიდნენ, კუდიანი თუ კუდო მაიმუნებისაგან.

კი ბატონო, ჩვენ არ ვუარყოფთ, რომ ჩვენგან წარმოიშვა ადამიანთა გარჩეული ნაწილი, მათ შორის ისეთი სახელოვანი ადამიანიც კი, როგორიც იყო ჩარლზ დარვინი, მაგრამ ბოლშევიკები... არამც და არამც. ბოლშევიკები გამოვიდნენ არა ადამიანების, არა მაიმუნების ანდა მაიმუნებისაგან გამოსული ადამიანების გვარიდან, არამედ კომუნისტების მძლეთამძლე და მონოლითური ოჯახიდან, ერთადერთი ვისთანაც ახლო ნათესაურ კავშირში არიან ისინი ეს არის, სატანას ოჯახი. თუ საჭირო იქნება დოკუმენტური მასალა ამის დასამტკიცებლად, ჩვენ მზად ვართ წარმოვადგინოთ...

ამიტომაც ჩვენ, კუდიანი და უკუდო მაიმუნები, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ბოლშევიკებს, თავი დაანებონ უკუდო ამპარტავნობას (მაიმუნობას), სანამ არ შეგვიწყვეტია მათთვის ანანასის, ქოქოსის კაკლის და ბანანის მიწოდება და არ ამოწყვეტილან შიმშილით.

მაიმუნთა მსოფლიო კრება
მაიმუნთა უფლებების დაცვის სოხუმის ჯგუფი

მაიმუნოგრამა მიიღო და ჩაიწერა (ანუ იმაიმუნა) კახა კენკიშვილმა

---

## მყრალო ყორნებო რა გინდათ

მყრალო, ყორნებო რა გინდათ?
რატომ დაგვჩხავით თავზედ
რატომ არ გინდათ, ვიაროთ
ყველამ სიმართლის გზაზედა
თუ გიყვართ თქვენი სამშობლო
რაღა ძალაობთ სხვაზედა . . .
ყვავნო ვერასდროს იმღერებთ
ვარდთან ბულბულის ხმაზედა.
ის ვინც თავის თავს ვერ იცნობს
კარგს როგორ იტყვის სხვაზედა
ბრმა არის? თქვენი თვალები
თეთრია ამბობთ შავზედა.
გაგდით და იმიტომ როკავთ
უშნოდ ჭრილყვავთა ხმაზედა. . .
მხევებით იბინძებიან
– ცითგან ბოძებულ ჭანგზედა.
შეგვეშვით არას გიშავებთ
როგორ არ მოხვალთ აზრზედა -
არა გრცხვენიათ? ცილაობთ
არწივთა საბუდარზედა
ხვთისგან ბოძებულ მიწაზე
რომ გვეცილებით ძალზედა
ურჯულომ როგორ იაროს
ჩვენს მამა-პაპათ ძვალზედა. . .
– " –

გაუმარჯოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს.
ღმერთი გვიფარავდეს.

გოგი ჩოქური.
16.07.89 წ.

---

## განცხადება

1990 წლის 7 იანვარს შობასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება და ჰელსინკის ჯგუფი ატარებს პატიმრებისადმი საქველმოქმედო აქციას, რაც გამოიხატება პატიმრებისათვის მილოცვით, ამანათების და სურსათ-სანოვაგის გადაცემით. ყველა ქართველს მოგიწოდებთ, მიიღოთ მონაწილეობა ამ მნიშვნელოვან საქველმოქმედო აქციაში, რამეთუ ასეთი აქციები პატიმრებს მოუწოდებს სიკეთისაკენ, მოყვასის სიყვარულისაკენ, უძლიერებს იმედს და რწმენას მომავლისას!!!

გაზეთ "პატიმრის ხმის" რედა[ქცია]

---

## საახალწლო მილოცვა

"ეროვნული თავისუფლების" ჯგუფი და გაზეთი "სამრეკლოს" რედაქცია ულოცავს დამდეგ 1990 წელს საქართველოს, ქართველ ერს და ყველას ვინც მხარს გვიჭერს ამ სამართლიან და უმძიმეს ბრძოლაში.

დასასრულს უახლოვდება მიმდინარე 1989 წელი ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მსოფლიოს ბევრი ქვეყნისათვის, მათ შორის საბჭოთა სახელმწიფოსა და მასში შემავალი ერების თუ ეროვნებებისათვისაც.

მსოფლიო სოციალური ბანაკის ისტორიაში შეუძლებელია გაიხსენო წლევანდელზე უფრო ბობოქარი და მოვლენებით სავსე წელი. ერთი მხრივ მიყოლებით დაემხო ათწლეულების მანძილზე გულმოდგინედ ნაშენები, ერთი შეხედვით, საიმედოდ დაცული დიქტატორული რეჟიმები აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში. აქედან რუმინეთის გარდა, ფაქტიურად ყველგან მშვიდობიანი გზით, შინაომების გარეშე /იყო ეთნიკურ პრობლემებთან დაკავშირებით იუგოსლავიაში/.

სამწუხაროდ ქართველები, საბჭოთა ქვეყნის სხვა ერების მსგავსად. შუა გზაზე ვართ შეჩერებული. უზარმაზარი, ხალხთა საპყრობილედ ქცეული, საბჭოთა კავშირი ჯერჯერობით მხოლოდ რყევას და დარტყმების განიცდის.

მაგრამ შუა გზამდე მისვლამაც საკმარისი მოგვიტანა როგორც სასიხარულო, ისე სამწუხარო.

ამ წლის ანგარიშზეა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება 9 აპრილის ტრაგედიის აფხაზეთის, სამხრეთ საქართველოს და ცხინვალის პროვოკაციები ამ წელს დაიბადა მრავალი ეროვნული და პოლიტიკური ორგანიზაცია, დაარსდა ათეულობით ოფიციალური თუ არაოფიციალური ბეჭდვითი ორგანო. რომლებიც სწორედ ეროვნულად განმათავისუფლებელ მოძრაობას ემსახურებიან./ამ ორგანიზაციებსა და ბეჭდვით ორგანოებს შორის არიან "ეროვნული თავისუფლების" ჯგუფი და მისი გაზეთი "სამრეკლო"/ 9 აპრილის თბილისში და ივლისის თვეს აფხაზეთში მოკლულებს, ავარიებისა და სხვა უბედურ შემთხვევებში დაღუპულებს ემატებიან. ავტოკატასტროფაში დაიღუპა, ქართველი ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე დამსახურებული მოღვაწე და მისი ერთ-ერთი მეთაური მერაბ კოსტავა.

დაე დამდეგი 1990 წლიდან დაწყებული საქართველოს და მის ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში სულ უფრო მეტი გამარჯვება მოეპოვებინოს, რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის ფასად.

ნუგზარ ჭილიკაური.

---

**მკითხველის საყურადღებოდ.**

"ეროვნული თავისუფლების ჯგუფის" არაპერიოდული ბეჭდვითი ორგანოს "სამრეკლოს" გამოსვლის შემდეგ. ქ. გულრიფშში გამოვიდა ამავე დასახელების გაზეთი. როგორც ჩანს გამომცემლებმა არ იცოდნენ ჩვენი გაზეთის არსებობა.

---

ჩვენი გაზეთი "სამრეკლო", მიესალმება თავის "უმცროს" ძმას – გულრიფშის "სამრეკლოს" და უსურვებს მას თავისი "ზარების" ხმამაღალ ჟღერას, სრულიად საქართველოს გულისცემის რითმში.

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ მეგობრებო!

"სამრეკლოს" რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ოფიციალური პრესა საბჭოთა ჯარზე

ტყვე ჯარისკაცები ავღანეთში

საბჭოთა ჯარისკაცს, რომელიც ტყვედ ჩავარდებოდა, თავი ადამიანად აღარ უნდა ჩაეთვალა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

განსაკუთრებით ცდილობდნენ, რომ საპყრობილეში მოხვედრისთანავე ადამიანს ესუნთქა სიკვდილით. მის თვალწინ აწყავებდნენ ტყვეებს. ჯარისკაცს აკრავდნენ ხრწნადაწყებულ გვამებზე და ყოველდღე სცემდნენ რკინის წნელებით.

„Подвиг" №34 გვ.№150

"დედოვშჩინა"

"დედოვშჩინა" ადრე თუ გვიან ბადებს სადიზმს, ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით. თანდათან "დედ"-ის მომსახურება საყელოს დაკერებით, საწოლის გასწორება, ჩექმების წმენდა და სხვა მუშაობა /ვილაცისაჯან ვილაცისათვის/ თანდათან მეორე პლანზე იწევს, მთავარი ხდება უმიზეზო წამება და დამცირება. ქანცის გაცლამდე წვალება. "მოლოდი" ჯარისკაცის. "დედ"-ებისაგან ღამლამობით იღვლება ფიზიკურ მომზადებად. "მოლოდი" დაძვრება საწოლის ქვეშ დედების სიცილ-ხარხარში გარდა ამისა "პტურსების" სისტემა, როცა "მოლოდის" აყენებენ რამდენიმე სკამისაგან აგებულ კოშკზე, მერე კი ძირს აცლიან.

"მოლოდოი კომუნისტი" №10

ნოემბრის თვეში, თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევში ჩამოასვენეს და დაკრძალეს ალექსი ზარიძე. იგი მოკლული იქნა სამხედრო სამსახურის ვადის დასასრულს, როდესაც სამშობლოში დაბრუნებას თითქმის აღარაფერი აკლდა.

ა/წლის 11 ოქტომბერს თბილისში ქართველი წვევამდელების ერთმა ჯგუფმა დაიწყო აქცია საბჭოთა კავშირის ოკუპანტთა არმიაში სამსახურზე.აქციის ორგანიზება და საქმის ბოლომდე მიყვანა ითავა წმინდა ილია მართლისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ.თავიდან აქცია დაიწყო 50-მდე წვევამდელმა,შემდეგ აქციამ მიიღო საყოველთაო ხასიათი,მასში მონაწილეობას იღებს არა ქართველები და ანალოგიური აქციები მიმდინარეობდა საქართველოს თითქმის ყველა რაიონში. ამჟამად აქცია გრძელდება თბილისის სპორტის სასახლესთან.გაფიცულთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. 28 დეკემბრის მონაცემებით გაფიცულია 760 წვევამდელი,მათ შორის 192 ჯარიდან გამოქცეული. ამ აქციის პარალელურად მიმდინარეობს სამხედრო ბილეთების ჩაბარება,ოკუპანტთა არმიაში უარის თქმის მოტივით და კომკავშირის,და კომუნისტური პარტიის ბილეთების ჩაბარება.ამჟამად ჩაბარებულია 282 სამხედრო ბილეთი 108 კომკავშირის ბილეთი 33 პარტიის ბილეთი.

გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნებული იყო რამდენიმე წევრის გვარები. ახლა ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ჩამოვთვალოთ ყველა, ვინც ნახევარი წლის მანძილზე (1989 წლის ივნისიდან) მონაწილეობა მიიღო ჯგუფის მუშაობაში.

ნუგზარ ჭოლიკაური, მევლუდ ბასილაური, ელდარ არაბული, კახა კენკიშვილი, [illegible] თამაზ ყორიაული, ლია ტუშური, სანდრო ხუცურაული, იოსებ (სოსო) ჩახნაშვილი, დათო ამირეჯიბი.

ეროვნულ თავისუფლების ჯგუფს შეიძლება დაუკავშირდეთ შემდეგ მისამართებზე ტელეფონით ან წერილობით:

ქ.თბილისი, დათო ამირეჯიბი 37-39-51

თიანეთის რაიონი ს.სიონთგორი, ნუგზარ ჭოლიკაური

თიანეთის რაიკომს განსაზღვრული აქვს ერწოს ზონაში 400 ჰექტარი ფართობის სახნავი მიწა, არენდით გადასცეს

"ეროვნული თავისუფლების" ჯგუფის პოზიცია ასეთია:

მიწა წარმოადგენს ხალხის საკუთრებას და ასეთი ხელშეკრულების დადება შეიძლება მხოლოდ მისი ყოველმხრივი ფართო სახალხო განხილვის შემდეგ, ადგილობრივ მცხოვრებთა თანხმობით.

აბრამ სეფიაშვილი:

მე თითქმის მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ცხოვრების დონე აქ (საქართველოში რედ.) ყველაზე განუვითარებელი საზღვარგარეთის ქვეყნებზე დაბალია.

გაზეთი „ინფორმაცია-რეკლამა" ნოემბერ-დეკემბერი

„ალიას" რედაქტორი საქართველოზე

რსფსრ მწერალთა მმართველობის პლენუმზე:

მაია განინა გამოხატავდა სამართლიან აღშფოთებას ჩვენ ერთობლივად მივაწერთ ქართველი სტალინის, ქართველი ბერიას, ებრაელი კაგანოვიჩის ცოდვებს რუს ხალხს.

"ლიტერატურნაია როსია" №48 1/XII გვ.4




გაზეთის პირველ ნომერში გამოცხადებული დამოუკიდებლობის პარტიის კონგრესის მასალები აღარ გამოქვეყნდება.

გაზეთი მოამზადეს: ნუგზარ ჭოლიკაურმა, დათო ამირეჯიბმა, კახა კენკიშვილმა, თამაზ ყორიაულმა